



საქართველოს გაეროს
ასოციაცია 2006

mdg

საქართველო



ანგარიში

ერთად მივალწიოთ ათასწლეულის განვითარების მიზნებს 2015 წლისთვის

ათასწლეულის განვითარების მიზნების
განხორციელების ანგარიში საქართველოში

კვლევა განახორციელდა:

კვლევის ხელმძღვანელი: მარინა იმერლიშვილი, გამოყენებითი კვლევების კომპანიის დირექტორი

მკვლევარები:

მიზანი 1: რუსუდან ტაბატაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მიზანი 2: ნინო გოგიბერიძე, მედია საბჭო

მიზანი 3: ლია სანიკიძე, ქალები მომავლისათვის

მიზანი 4: მედეა ბელეშაძე, კლარიტასი

მიზანი 5: ნინო წულეისკირი, "ჰერა XXI"

მიზანი 6: ქეთევან ჭელიძე, ასოციაცია "თანადგომა"

მიზანი 7: ლია თოდუა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მიზანი 8: ქეთევან ჭითანავა, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

რედაქტირება: ნინო ხუციძე

დიზაინი: თორნიკე ლორდქიფანიძე

ფოტო:

გურამ მურადოვი მიზანი 1, მიზანი 3, მიზანი 5, მიზანი 8

იური მეჩითოვი მიზანი 4

თათა მეთიშვილი მიზანი 6

კოტე გაბრიჩიძე მიზანი 7

**ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების პროგრამა
2006**

საქართველოს გაეროს ასოციაცია

თბილისი, დოლიძის ქ.2, 0171

თელ/ფაქსი: (+995 32) 33 25 16; (+995 32) 33 52 16

ელ. ფოსტა: una@una.ge

ვებ გვერდი: www.una.ge

ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების პროგრამის - გამოცემულია საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, შვედეთის გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ

სხვადასხვა სფეროში პროფესიულ მონაცემთა ბაზისა და ექსპერტ ანალიზის უზრუნველყოფით ანგარიშის შემუშავებაში მონაწილეობდა შემდეგი ორგანიზაციები:

- საქართველოს ახარგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- მედია საბჭო
- ქალები მომავლისათვის
- კლარიტასი
- ასოციაცია „ჰერა XXI“

- ასოციაცია „თანადგომა“
- საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

საქართველოს გაეროს ასოციაცია მადლობას უხდის საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების პროგრეს ანგარიშის მომზადებაში მონაწილე შემდეგ ორგანიზაციებს:

„ადგილის დედა“
 „ავანგარდი“
 „ალბანი“
 „ალტერნატივა ჯორჯია“
 „ალტერნეგო“
 ანტინარკოტიკული მედია კლუბი
 აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
 ასოციაცია „ამგადარი“
 ასოციაცია „ლობო“
 „ახალი გზა“
 ბიბლიოთეკა – კულტურული ცენტრი უნარშეზღუდულთათვის – „თანადგომა“
 ბიოეთიკისა და ჯანმრთელობის საკანონმდებლო რეგულაციის ასოციაცია
 „გზა საზოგადოებისაკენ“
 გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი
 გურიის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაცია „ბავშვი მომავალია“
 გურამიშვილის პედაგოგიული კლინიკა
 დაავადებათა კონტროლის ცენტრი
 ენერგოფექტურობის ცენტრი
 „ველფეარ ფაუნდეიშენი“
 თავისუფლების ინსტიტუტი
 „იუვენკო“
 კავკასიის გარემოს დაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი
 კოალიცია დეენილთა მხარდაჭერისათვის
 კორეფორმ-ჯორჯია
 მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი
 „ნაკრესი“

„ნეონატუსი“
 „ორთოსი“
 „ოქსფამის“ წარმომადგენლობა საქართველოში
 პედაგოგთა და მოზარდთა სოციალური ინტერესების დაცვის კავშირი „მრეელი“
 პოლიტიკის, დაგეგვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი
 „ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის“
 „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დაზარალებულ პირთა თანადგომა“
 ქუთაისის „ქალთა ცენტრი“
 საერთაშორისო ახარგაზრდული ასოციაცია „სტუდენტი“
 საერთაშორისო ფონდი მსოფლიო ბავშვებისათვის
 საზოგადოება „ბილიკი“
 საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“
 სამოქალაქო განათლების საერთაშორისო ცენტრი
 საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი
 საქართველოს ბავშვთა ფედერაცია
 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
 საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია
 საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
 საქართველოს საერთაშორისო სააგენტო „კურაციო“
 საქართველოს საზოგადოების ჯანდაცვის ასოციაცია
 „საქართველოს + ჯგუფი“
 უნარშეზღუდულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის კავშირი
 „ურანტი“
 ურბანისტთა ასოციაცია
 შიდსით დაზარალებულთა დახმარების ფონდი
 World Vision Georgia

სარჩევი

შესავალი	8
ზოგადი მიმოხილვა.....	8
მეთოდოლოგია, შეფასების კრიტერიუმები, მონაცემთა შეგროვებისა და შეფასების პროცესი	9
თავი 1. მიზანი №1: უკიდურესი სიღარიბის დაქვევა	13
1.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა უკიდურესი სიღარიბის დაქვევის მიმართულებით.....	13
1.1.1. ამოცანა 1: სიღარიბის ზღვარს გვიწვი მოსახლეობის რიცხვის განახევრება 2000-2015 წწ. პერიოდში.....	13
1.1.2. ამოცანა 2: დაუზალსნებალი საკვები რაციონის მიწოდება მოსახლეობის რიცხვის განახევრება 2000-2015 წწ. პერიოდში.....	14
1.1.3. ამოცანა 3: კონფლიქტებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და სამოქალაქო ინტეგრაცია	17
1.2. საზოგადოებრივი სექტორის აქტივობის ინტენსივობა უკიდურესი სიღარიბის დაქვევის მიმართულებით.....	18
თავი 2. მიზანი №2: მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა.....	21
2.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით.....	21
2.1.1. ამოცანა 4: დაწყებითი განათლების დონის შენარჩუნება, სასკოლო განათლების 12 წლიან ციკლზე გადაყვანა, სასკოლო განათლების ხარისხის საერთაშორისო შეფასების სისტემებში ჩართვა, ინსტიტუციური ადეკვატურობის მიღწევა თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემებთან.....	22
2.1.2. ამოცანა 5: უმაღლესი განათლების დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემის ჩამოყალიბება; ინსტიტუციური ადეკვატურობის მიღწევა თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემებთან.....	22
2.1.3. ამოცანა 6: პროფესიული განათლების სისტემის შრომის გაზარდა ორიენტირებულ სისტემად გარდაქმნა; პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის ბენეფიციარების ინსტიტუციური ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბება.....	23
2.1.4. ამოცანა 7: ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლების პროგრამების მასშტაბური ამუშავება; ინკლუზიური განათლების პრინციპების ინტეგრირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში	23
2.2. საზოგადოებრივი სექტორის აქტივობის ინტენსივობა მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით	23
თავი 3. მიზანი №3: გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდა.....	27
3.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდის მიმართულებით.....	27
3.1.1. ამოცანა 8: დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.....	28
3.1.2. ამოცანა 9: პოლიტიკურ სფეროში და თვითმმართველობის ყველა დონეზე მოღვაწეობის თანაბრად მისაწვდომობა	30
3.2. საზოგადოებრივი სექტორის აქტივობის ინტენსივობა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდის მიმართულებით	31

თავი 4. №4: გავრცელების სიკვდილიანობის შემცირება	35
4.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა გავრცელების სიკვდილიანობის შემცირების მიმართულებით.....	35
4.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა გავრცელების სიკვდილიანობის შემცირების მიმართულებით	37
თავი 5. მიზანი №5: დღეისა და ღამის ჯანმრთელობის გაუმჯობესება	43
5.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა დღეისა და ღამის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიმართულებით.....	43
5.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა დღეისა და ღამის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიმართულებით.....	44
თავი 6. მიზანი №6: აივ/შიფტთან, მაღაროსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა	47
6.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა აივ/შიფტთან, მაღაროსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლის მიმართულებით.....	47
6.1.1. ამოცანა 12: აივ/შიფტის გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება	48
6.1.2. ამოცანა 13: მაღაროს და სხვა ძირითადი დაავადებების გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება 2015 წლისათვის	49
6.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა აივ/შიფტთან, მაღაროსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლის მიმართულებით.....	49
თავი 7. მიზანი №7: ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა	53
7.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით.....	53
7.1.1. ამოცანა 14: მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის უმრავლესობა და პროგრამები და გუნდური რესურსების შემცირების (დებარეების) ტენდენციის შეჩერება	54
7.1.2. ამოცანა 15: 2015 წლისათვის იმ მოსახლეობის წილის განხილვა, ვისაც სტაბილურად არ მიუხედავად ხელი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალზე	55
7.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების მიმართულებით.....	56
თავი 8. მიზანი №8: განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება	59
8.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბების მიმართულებით.....	59
8.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბების მიმართულებით	65
ცხრილი 1.....	10
ცხრილი 2.....	11
ცხრილი 3 კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები.....	60
ცხრილი 4 წლიური ინფლაცია (2003-2006 წწ).....	61
ცხრილი 5 ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2001-2005	62
ცხრილი 6 საქართველოს საბარეო ვაჭრობის განვითარებული მაჩვენებლები (მოქმედ ფასები; ათასი აშშ დოლარი).....	62
ცხრილი 7 საქართველოს საბარეო ვაჭრობა ქვეყნის ჯგუფის მიხედვით (მოქმედ ფასები; ათასი აშშ დოლარი)	63
ცხრილი 8.....	63
ცხრილი 9.....	64

შესავალი

საქართველოს გაეროს ასოციაციამ შვედეთის გაეროს ასოციაციასთან ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მოამზადა ანგარიში, რომლის მიზანს საქართველოს მიერ ათასწლეულის განვითარების მიზნებთან (აგმ) დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის ასახვა წარმოადგენს.

ანგარიში აღწერით ხასიათს ატარებს და მასში განხილული მასალა მოიცავს როგორც საქართველოს მთავრობის საქმიანობის, ისე საზოგადოებრივი სექტორის მიერ ათასწლეულის მიზნების შესრულების თვალსაზრისით განეული ძალისხმევის შეფასებას. საქართველოს საზოგადოებრივ სექტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, გამოწვევის არც ათასწლეულის განვითარების მიზნები წარმოადგენს. საზოგადოებრივი სექტორი რიგ შემთხვევებში უშუალოდ არის ჩართული ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებაში, ხშირად კი მისი საქმიანობა ირიბად უწყობს ხელს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ საზოგადოებრივი სექტორის წვლილის შეფასება აგმ-ის განხორციელებაში.

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებისთვის გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა არსებობს მრავალი ხარვეზი, რომელთა აღმოფხვრის გარეშე, შეუძლებელი იქნება 2015 წლისთვის აღნიშნული ვალდებულებების სრულად შესრულება.

საქართველოს მთავრობას ათასწლეულის თითქმის ყველა მიზანთან დაკავშირებით შემუშავებული აქვს მოქმედების სტრატეგიული გეგმა, თუმცა მათი განხორციელებისათვის აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა, რომელიც აღნიშნული სტრატეგიების თანმიმდევრულ შესრულებას უზრუნველყოფდა, ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს.

ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებისთვის დაწყებულია გარკვეული რეფორმები, შექმნილია სათანადო ინსტიტუციები, თუმცა მათი საქმიანობის ეფექტურობა ჯერ კიდევ არ არის მაღალი, რიგ შემთხვევებში მთავრობის არათანმიმდევრული მოქმედებების და რიგ შემთხვევებში არასათანადო დაფინანსების გამო.

მთავრობის საქმიანობა განსაკუთრებით ინტენსიურია ათასწლეულის IV (ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება) და VI (აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა) მიზნების მიმართულებით, ყველაზე ნაკლები ძალისხმევით კი გამოირჩევა მისი საქმიანობა III (გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდა) და VIII (ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა) მიზნების მიმართულებით.

საზოგადოებრივი სექტორი ნაკლებად ახდენს თავისი საქმიანობის იდენტიფიცირებას ათასწლეულის განვითარების მიზნებთან, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი საქმიანობა ხშირად მნიშვნელოვნად განაპირობებს ამა თუ იმ მიზნის განხორციელებას. სექტორი სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, თუმცა ხშირად ეს ურთიერთობა ცალმხრივ ხასიათს ატარებს. საზოგადოებრივი სექტორი განსაკუთრებით აქტიურია IV (ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება) მიზნის მიმართულებით, მისი საქმიანობა კი ყველაზე ნაკლებად ინტენსიურია VIII (ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა) მიზნის მიმართულებით.

მეთოდოლოგია, შეფასების კრიტერიუმები, მონაცემთა შეგროვებისა და შეფასების პროცესი

ანგარიშის მომზადების პროცესში ათასწლეულის მიზნების შესაბამის სფეროებში გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აწარმოებდნენ ინფორმაციის მოძიებასა და შეგროვებას დასკვნითი ანგარიშისთვის. აგმ-ის ვალდებულებების შესრულების აღწერა შესაბამისი სამუშაო ჯგუფების კოორდინატორებმა წარმოადგინეს. ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ (აგმ-ის მიზნების მიხედვით):

- მიზანი №1: უკიდურესი სიღარიბის დაძლევა** – რუსუდან ტაბატაძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- მიზანი №2: მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა** – ნინო გოგიბერიძე, მედია საბჭო;
- მიზანი №3: გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდა** – ლია სანიკიძე, „ქალები მომავლისთვის“;
- მიზანი №4: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება** – მედეა ბელეშაძე, „კლარიტასი“;
- მიზანი №5: დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება** – ნინო წულეისკირი, ასოციაცია „ჰერა XXI“;
- მიზანი №6 აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა** – ქეთევან ჭელიძე, ასოციაცია „თანადგომა“;
- მიზანი №7 ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა** – ლია თოდუა, „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“;
- მიზანი №8 განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება** – ქეთევან ჭითანავა, „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“.

ანგარიშში მოცემულია აგმ-ის რვავე მიზნის განხორციელების შესახებ არსებული მასალის მიმოხილვა და თითოეული მიზნის განხორციელების რაოდენობრივი შეფასება. აგმ-ის შესრულების პროგრესის თვალსაჩინო აღწერისთვის შემუშავებული იქნა აგმ-ის პროგრეს-ინდექსი. ინდექსი არსებული სიტუაციის რაოდენობრივი აღწერისა და ყოველწლიური მონიტორინგის პირობებში აგმ-ის განხორციელების დინამიკაში განხილვისა და შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა.

ანგარიშში მოცემულია როგორც საზოგადოებრივი, ისე სამთავრობო აქტივობის ინდექსი. პროგრეს-ინდექსის გამოთვლის მექანიზმი ითვალისწინებს 5 ბალიან შკალაზე (0-დან 4-მდე, შესაბამისად მაქსიმალური შესაძლო ქულა არის 4) ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების

შეფასებით შეფასებას. თითოეული კრიტერიუმისთვის განისაზღვრა შეფასების კონკრეტული შინაარსი. თითოეული მიზნის განხორციელების ქულა წარმოადგენს მიზნის ამოცანების შეფასების საშუალო ქულას. როგორც მთავრობის, ისე საზოგადოებრივი სექტორის ინდექსის საბოლოო ქულა რვა მიზნის განხორციელების შეფასების საშუალო ქულაა.

შეფასების პროცესს სამუშაო ჯგუფების მიერ მოპოვებული ინფორმაციის და საკუთარი მოსაზრების საფუძველზე აწარმოებდნენ შესაბამის სფეროში საექსპერტო გამოცდილების მქონე პირები.

თითოეულმა სამუშაო ჯგუფმა და მონვეულმა ექსპერტებმა შეაფასეს აგმ-ის შესრულების პროგრესი საქართველოში. შეფასება შემდეგი კრიტერიუმებისა და სქემის მიხედვით განხორციელდა:

პრიტარიუმი

1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა აგმ-ის მიხედვით

- 1.1. სახელმწიფოს მიერ აგმ-ის ვალდებულებების შესრულების სტრატეგიის/ტაქტიკის შემუშავება/არსებობა.
- 1.2. მთავრობის მიერ შექმნილი ინსტიტუციები
- 1.3. მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამები
- 1.4. მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები დონორების მხარდაჭერით

2. საზოგადოებრივი სექტორის აქტიურობის ინტენსივობა აგმ-ის მიხედვით

- 2.1. ინიციატივები, პროექტები, პროგრამები, შექმნილი კოალიციები, ქსელები
- 2.2. სხვა სექტორებთან თანამშრომლობა აგმ-ის განხორციელებისათვის

ცხრილი 1

ათასწლავის მიზანი				
მთავრობის ქმედების ინტენსივობა აგმ-ის მიხედვით				
0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
1. სახელმწიფოს არ გააჩნია სტრატეგია/გეგმა აგმ-სთან დაკავშირებით	1. სტრატეგია/გეგმა და ტაქტიკა შემუშავების პროცესშია.	1. სტრატეგია/გეგმა და ტაქტიკა შემუშავებულია	1. სტრატეგია/გეგმა და ტაქტიკა შემუშავებულია, მიმდინარეობს მისი განხორციელება	1. გეგმის განხორციელების პროცესში გარკვეული პროგრესი უკვე არსებობს
2. არ არის შექმნილი ინსტიტუციები: ფონდები, სახელმწიფო დანაყოფები (დეპარტამენტი, კომისია და ა.შ.).	2. ინსტიტუციები ფორმალურად შექმნილია, მაგრამ ფუნქციონირება არ დაუწყიათ, შექმნილ დანაყოფებს შორის ფუნქციები არ არის მკაფიოდ გამოჯნული	2. ინსტიტუციები შექმნილია, ფუნქციები გამოჯნულია, დანაყოფებმა ფუნქციონირება დაიწყეს, მაგრამ რეალურად საქმიანობა არ განუხორციელებიათ	2. მუშაობა მიმდინარეობს ინტენსიურად, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო (დაფინანსების ნაკლებობა, კვალიფიციური რესურსის ნაკლებობა, გამოცდილების ნაკლებობა და ა.შ.) საქმიანობა არაეფექტურია	2. მუშაობა მიმდინარეობს ინტენსიურად და ეფექტურად
3. მთავრობის მიერ აგმ-ის ვალდებულებების შესასრულებლად დაფინანსებული მიზნობრივი პროგრამები არ არსებობს, არც ისეთი პროგრამები ხორციელდება, რომლებიც ირიბად უწყობენ ხელს სიღარიბის აღმოფხვრას.	3. მთავრობის მიერ აგმ-ის ვალდებულებების შესასრულებლად დაფინანსებული მიზნობრივი პროგრამები არ არსებობს, მაგრამ ხორციელდება პროგრამები, რომლებიც ირიბად უწყობენ ხელს აგმ-ის შესრულებას.	3. მთავრობის მიერ აგმ-ის ვალდებულებების შესასრულებლად დაფინანსებული მიზნობრივი პროგრამები მიმდინარეობს, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო არაეფექტურია.	3. მთავრობის მიერ აგმ-ის ვალდებულებების შესასრულებლად დაფინანსებული მიზნობრივი პროგრამები არსებობს და მათი განხორციელება ეფექტურად მიმდინარეობს.	3. მთავრობის მიერ მიზნობრივად აგმ-ის ვალდებულებების შესასრულებლად დაფინანსებული პროგრამები ეფექტურად ხორციელდება, მიღწეულია გარკვეული შედეგები.
4. მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები დონორების მხარდაჭერით არ არსებობს.	4. მთავრობის მიერ ინიცირებულ პროგრამებზე დონორებთან მოლაპარაკება დაწყებულია	4. მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები დონორების მიერ მხარდაჭერილია და მათი განხორციელება დაწყებულია	4. მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები დონორების მხარდაჭერით ხორციელდება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო (დაფინანსების, კვალიფიციური რესურსის, გამოცდილების ნაკლებობა და ა.შ.) არაეფექტურია	4. მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები დონორების მხარდაჭერით ეფექტურად ხორციელდება

ცხრილი 2

ათასწლეულის მიზანი				
საზოგადოებრივი სექტორის (სს) აქტივობა აგმ-ის მიმართულებით				
0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
1. სს-ში არ არსებობს ინტერესი ათასწლეულის მიზნის მიმართ	1. სს-ში არსებობს ინტერესი აგმ-ის მიზნის მიმართ, რაც ცალკეული ინიციატივების განხორციელებაში ვლინდება	1. სს-ში ხორციელდება მიზანმიმართული და ხანგრძლივი პროექტები	1. სს-ში შექმნილია ალიანსები/კოალიციები/ქსელები, რომლებიც მუშაობს აგმ-ის მიმართულებით	1. სს-ში შექმნილი ალიანსები იძენენ მდგრად ხასიათს, მუშაობენ აგმ-ის მიმართულებით არა მხოლოდ ერთი პროექტის ფარგლებში
2. არ არსებობს სექტორებს შორის თანამშრომლობა	2. თანამშრომლობა შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით	2. სექტორებს შორის ურთიერთობა ცდება ინფორმაციის გაცვლის ფარგლებს და იძენს ცალკეული ინიციატივებით გამოხატული თანამშრომლობის ხასიათს	2. სექტორებს შორის თანამშრომლობა იძენს პერიოდულ, მომავალ საქმიანობაზე ორიენტირებულ ხასიათს, იწყება ერთობლივი ინიციატივების (სამეთვალყურეო საბჭოები, კომისიები, ფონდები და ა.შ.) ჩამოყალიბება	2. სექტორებს შორის თანამშრომლობა მდგრადია, ინიციატივები ჩამოყალიბებულია, ხდება პროექტების ერთად დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.





მიზანი №1: უკიდურესი სიღარიბის დაძლევა

1.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა უკიდურესი სიღარიბის დაძლევის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 1.2

- მთავრობას შემუშავებული აქვს ზოგადი სტრატეგია/გეგმა და ტაქტიკა უკიდურესი სიღარიბის დაძლევის მიმართულებით, თუმცა სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებების ხედვა თუ სამოქმედო გეგმა, რომელიც აღნიშნული სტრატეგიის თანმიმდევრულ შესრულებას უზრუნველყოფდა, არ არსებობს. სწორედ ამ მიზეზის გამო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა სიღარიბის აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებები ხშირად იმპულსური და სპონტანურია, რაც შედეგზე გავლენას ახდენს და მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განაპირობებს.
- დაწყებულია გარკვეული რეფორმები, შექმნილია სათანადო ინსტიტუციები, თუმცა მათი საქმიანობის ეფექტურობა ჯერ კიდევ არ არის მაღალი, რიგ შემთხვევებში მთავრობის არათანმიმდევრულ მოქმედებათა, რიგ შემთხვევებში კი (თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია) არასათანადო დაფინანსების გამო.

- მთავრობის ინიცირებული პროგრამები ძირითადად საბიუჯეტო სახსრებით ხორციელდება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით ამა თუ იმ სფეროს რეფორმისათვის თანხის გამოყოფა, სამწუხაროდ, არ ნიშნავს იმას, რომ რეფორმა ხორციელდება. უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ბიუჯეტის ფორმირების შემდეგ იწყება შესაბამისი პროგრამების არათუ დეტალების, არამედ ძირითად პრინციპთა დამუშავებაც კი.

1.1.1. ამოცანა 1: სიღარიბის ზღვარს გყოფი მოსახლეობის რიცხვის განახევრება 2000-2015 წწ. პერიოდში

საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების საკითხი წლების განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს დეკლარირებულ ამოცანას წარმოადგენდა, თუმცა მდგომარეობის კარდინალური ცვლილება ამ გარემოებას არ გამოუწვევია. 2000 წელს საქართველომ ათასწლეულის დეკლარაციის ხელმოწერით ვალდებულებები იკისრა, 2003 წლისთვის კი სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მონაწილეობით

შემუშავდა ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის გრძელვადიანი პროგრამა. პროგრამის უმთავრეს მიზნებად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, მოსახლეობის ყველა ფენის მიერ ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის შედეგებით სარგებლობა და სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე ზრუნვა გამოცხადდა. პროგრამის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი საქართველოს კანცელარიის ეკონომიკური რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის სამსახურს დაევალა¹.

შექმნა ათასწლეულის განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი სამთავრობო კომისია², რომელსაც პრემიერ-მინისტრი ჩაუდგა სათავეში. სწორედ კომისიას უნდა შეესრულებინა მთავრობის გადაწყვეტილება.

2004-2005 წლებში ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ანგარიშის მომზადების შესახებ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კოორდინაციით 2005 წლის აგვისტოსთვის მომზადებული ანგარიშის თანახმად, სიღარიბის დონე საქართველოში პრაქტიკულად უცვლელია, რომლის შეცვლისათვის მთავრობის სტრატეგიულ მიზანს ეფექტური, მაღალკვალიფიციური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის შექმნა, ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესება, კერძო კაპიტალის მოზიდვა, სამენარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სოციალური დახმარების სისტემის მიზნობრიობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ანგარიშში მთავრობის მიერ ამ მიზნების შესრულებისაკენ მიმართული და საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვაა მოცემული³.

სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული პროგრამული ღონისძიებების გარდა მთავრობა, ბოლო პერიოდში ხში-

რად მიმართავს სპონტანურ აქციებს. მაგალითად, 20-20 ლიტრი დიზელის სანავის დარიგება სოფლის მოსახლეობისათვის საგაზაფხულო სახნავ-სათესი სამუშაოების ჩატარებისთვის, რაზეც დაახლოებით, 13 მლნ. ლარი გამოიყო პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან. ამგვარი აქცია, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთჯერადი ხასიათის შეიძლება იყოს და ვერ უზრუნველყოფს არათუ პრობლემის საბოლოო გადაჭრას, არამედ რაიმე ინსტიტუციის შექმნას სიღარიბის დაძლევისთვის.

1.1.2. ამოცანა 2: დაუზალანებალი საკვები რაციონის მქონე მოსახლეობის რიცხვის განახივრება 2000-2015 წწ. პერიოდში

სოციალურად დაუცველ ოჯახთა იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამა⁴.

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კვლავაც სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის დაახლოებით 17% სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება. სოციალური დახმარების არსებული სისტემა მოსახლეობის 5 კატეგორიაზე

(მარტონელა პენსიონერი, ობოლი (უდემამო) ბავშვი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი, I ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, მრავალშვილიანი (18 წელზე უმცროსი 7 და მეტი შვილით) ოჯახის წევრი) არის გათვლილი.

არსებული სოციალური დაცვის სისტემა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების ეფექტური გამოყენების და რეალურად სიღარიბეში მყოფი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას არ იძლევა. „სოციალური დახმარების მიზანი-

¹ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის დამტკიცების შესახებ №800, 2003 წ. 28 ივნისი.

² საქართველოს მთავრობის დადგენილება №7 2004 წ. 31 მარტი.

³ ათასწლეულის მიზნები საქართველოში: განხორციელების ანგარიში 2004-2005 წწ, აგვისტო 2005 წ.

⁴ სოციალურად დაუცველ ოჯახთა იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით იხ. შემდეგი მასალა:

- ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების 2005 წლის ანგარიშის შემუშავებისადმი მიძღვნილი სემინარის მასალები; სოციალური სექტორის მიმოხილვა.
- სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ სიღატაკის ზღვარს მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მონაცემთა ბაზის ფორმირებისა და საქართველოს სოციალური მიმართულების დახმარების პროგრამის სახელმძღვანელო კომუნიკაციური სტრატეგია.
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახთა სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი და ანგარიში, სოციალური კვლევების ინსტიტუტი, 2005 წ.

მართულებისა და ეფექტიანობის გაზრდის... ქვეყანაში სილატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის... მიზნით⁵ დასაქმებისა და სოციალური დახმარების სახელმწიფო სააგენტომ დაიწყო მუშაობა სოციალურად დაუცველ ოჯახთა იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაზე. პროგრამის მიზანია ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი ოჯახების რანგირება მათი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველთა განაცხადების მიღება 2005 წლის აგვისტოში დაიწყო. 2006 წლის 1 ივნისის მდგომარეობით სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, ბაზაში 248 165 ოჯახი იყო დარეგისტრირებული, მათი საერთო რაოდენობა 734 206 ადამიანს შეადგენს.

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა 2006 წლის ივნისიდან უნდა ამოქმედებულიყო⁶. ყველა ის ოჯახი, რომელიც 1 მარტამდე დარეგისტრირდა მონაცემთა ბაზაში და შეფასების შედეგად სააგენტოს მიერ დადგენილ ქულათა მაქსიმუმი მიიღო, 1 ივნისიდან დახმარების მიმღები უნდა გამხდარიყო. სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 52 000 000 ლარი გამოიყო.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2006 წლის 31 მაისს, ანუ სოციალური დახმარების ახალი პროგრამის ძალაში შესვლის წინა დღეს, მთავრობის სხდომის შემდეგ გაირკვა, რომ პროგრამის ამოქმედება გადაიდო, რის მიზეზადაც არასრულყოფილი მონაცემთა ბაზა დასახელდა. ამასთან, პროგრამის ძალაში შესვლის ზუსტი თარიღი არ დასახელებულა.

2005 წელს „სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განახევრდა იმ ეტაპზე, როცა ეს პროცესი ფაქტიურად შუალედურ სტადიაზე იმყოფებოდა. ამდენად, 2005 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 1 200 000 ლარი სექტემბრისთვის 675 ათას ლარამდე შემცირდა. პროგრამის არასრულყოფილების ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა არასაკმარისი დაფინანსებაც იყოს.

2006 წლის 22 მაისს ცვლილებები შევიდა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში, რის შედეგადაც სოციალური დახმარებების სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება 52 000 000 ლარიდან 38 500 000 ლარამდე შემცირდა. ამას გარდა, ბიუჯეტში შესული ცვლილებებით ჯერ კიდევ მოქმედი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამის ბენეფიციარებს სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში გაუგრძელებათ დახმარებების გაცემა 2006 წლის 31 დეკემბრამდე, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მოხვდებიან მთავრობის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით იდენტიფიცირებული სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების სიაში.

თუმცა ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დახმარებების გაცემის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 31 მაისის დადგენილება №104 ყოველგვარი ვადის დაკონკრეტების გარეშე აგრძელებს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარებას წინა პროგრამის ფარგლებში „სოციალური დახმარებების ახალი პროგრამის ამოქმედებამდე ამავე პროგრამისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში“ (პუნქტი 3). სოციალური დახმარებების ახალი პროგრამის ძალაში შესვლის თარიღი კი, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას უკავშირდება, უცნობი რჩება.

⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 51 ქვეყანაში სილატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ, 2005 წლის 17 მარტი.
⁶ საქართველოს კანონი 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; მუხლი 50, პ.7.

მთავრობის №104 დადგენილება ძალადაკარგულად აცხადებს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 31 მარტის №101/6 ბრძანებას „სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2006 წლის 13 აპრილის №177 განკარგულებას „ფულადი სოციალური დახმარების მისაღებად სილატაკის ზღვრული ქულის განსაზღვრის შესახებ“. ამდენად, სოციალური დახმარებების პროგრამის დასაწყებად ნორმატიული საფუძველი კვლავ არ არსებობს.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სამედიცინო დაზღვევა

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილია. როგორც 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში მითითებული, „კომპონენტი ითვალისწინებს ღარიბი მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ხარჯზე სამედიცინო დაზღვევის ბაზისური პაკეტის შესყიდვას, რომელიც მოიცავს ინდივიდზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს“⁷.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამა, სავარაუდოდ, 2006 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება. მისი განხორციელებისათვის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18 000 000 ლარი გამოიყოფა⁸.

ახალი პროგრამის თანახმად, იგი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის ღარიბი ფენის ჯანმრთელობის მდგომარეობას და უზრუნველყოფს მათთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული კომპონენტი სოციალურად დაუცველი ფენის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა „წარმოადგენს დამატებით სოციალური დაცვის

მექანიზმს, რომელიც ფინანსურად დაიცავს მოსახლეობის ღარიბ ფენას“⁹.

უმუშევრების სოციალური დაცვა და დასაქმების ხელშეწყობა

როგორც ათასწლეულის განვითარების მიზნების 2004-2005 წლის ანგარიშშია მითითებული, საქართველოში სიღარიბეზე ზეგავლენის მქონე უმთავრეს ფაქტორს დასაქმება წარმოადგენს. შესაბამისად, უმუშევართა დახმარებისა თუ დასაქმებისაკენ მიმართული ღონისძიებები სიღარიბის მაღალი რისკის ამ ჯგუფის (უმუშევრები) მონყვლადობის ხარისხს ამცირებს.

დასაქმების კანონის მიღებით საქართველომ 2001 წელს თავის თავზე აიღო ვალდებულება უზრუნველყოს რეგისტრირებული უმუშევრებისთვის შემწეობის გაცემა.

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში რეგისტრირებული უმუშევრის შემწეობა განისაზღვრა 20 ლარის ოდენობით, რომელიც 6 თვის განმავლობაში გაიცემა.¹⁰ სამუშაოს მაძიებელთა და უმუშევართა რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 3 მაისის №177 ბრძანებულებით დამტკიცდა.¹¹ მხოლოდ აღნიშნული წესით რეგისტრირებული უმუშევარი შეიძლება გახდეს უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარი. აღნიშნული პროგრამები უმუშევართათვის ახალ სოციალურ გარემოში ადაპტაციისა და დასაქმების თვალსაზრისით პერსპექტიულ პროფესიებში გადამზადების, აგრეთვე სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის დროს დასაქმების საშუალებას ქმნიან.¹²

უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების (მათ შორის 2004 წელს ნაკისრი ვალდებულებების) ანაზღაურებისათვის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.485 მლნ. ლარი იქნა გამოყოფილი.

⁷ საქართველოს კანონი 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; მუხლი 50; საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 2006-2009 წწ-ში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგია; პუნქტი 1.
⁸ საქართველოს კანონი 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; მუხლი 50; საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საბიუჯეტო კოდი 35220920
⁹ იბ. 9
¹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №48 უმუშევრის შემწეობის ოდენობისა და მისი გაცემის ვადის განსაზღვრის თაობაზე, 2005 წ. 17 მარტი.
¹¹ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სამუშაოს მაძიებელთა და უმუშევართა რეგისტრაციისა და აღრიცხვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე №177, 2001 წლის 3 მაისი.
¹² საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №87 "საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზების შესახებ" დებულებების დამტკიცების თაობაზე, 2002 წ.

1.1.3. ამოცანა 3: კონფლიქტებისა და სტიქიური უკმაყოფილების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და სამოქალაქო ინტეგრაცია

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, 2005 წლის იანვრისათვის ქვეყანაში სუბარატივული კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) რიცხვმა 241 449 შეადგინა, მათ შორის 229 131 აფხაზეთიდან და 12 318 კი ცხინვალის რეგიონიდანაა. ეს მონაცემები ეყრდნობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით ჩატარებული ლტოლვილთა რეგისტრაციის მონაცემების გადამოწმების შედეგებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი არასავალდებულო ხასიათის გამო ბევრ იგპ-ს არ მიუღია მასში მონაწილეობა. იგპ-თა 42% კვლავაც კომპაქტურად, ხოლო დარჩენილი 58%-ის უმრავლესობა ნაცნობ-ნათესავებთან ან ქირით ცხოვრობს. იგპ-თა სახელმწიფო ფულადი შემწეობის ოდენობა 14 ლარია. მწირი შემოსავლების გამო კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილისათვის კვლავ ხელმიუწვდომელია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.¹³

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №80 დადგენილებით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება დაევალა. ეს ნაბიჯი ბოლო 14 წლის მანძილზე დევნილთა პრობლემის მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების პირველ მცდელობას წარმოადგენს.

უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში დევნილთა განსახლების ობიექტების პრივატიზების გამო გახშირდა კომპენსაციის სანაცვლოდ კომპაქტური ჩასახლების ადგილებიდან დევნილთა გამოსახლების შემთხვევები. დევნილთა რეაბილიტაცია-ინტეგრაციის ნაცვლად, სამწუხაროდ, იყო რამდენიმე ფაქტი როდესაც გამოსახლების პროცესი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ძალადობის უკანონო აქციებად იქცა.

2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის კანონი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“, რომელიც ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივ რესტიტუციასა და ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფას ან ქონებრივი ზიანის კომპენსაციას ისახავს მიზნად. კანონპროექტის თანახმად, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია – ორგანო, რომელიც კანონის მიზნების განსახორციელებლად იქმნება – კანონის ძალაში შესვლიდან 5 თვის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბდეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იგპ-ებად რეგისტრირებულ პირთა გარდა, კანონპროექტი შეეხება ყველა იმ ოს ან სხვა ეროვნების ადამიანს, რომელიც კონფლიქტის შედეგად დაზარალდა, ვერ ახერხებს თავის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას და უძრავი ქონების მიღებას, ან მისი საცხოვრებელი და სხვა უძრავი ქონება განადგურებულია.

რაც შეეხება ეკოლოგიურ მიგრანტებს, უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო დონეზე მათ სტატუსი არ გააჩნიათ, რადგან არ არსებობს კანონი ეკოლოგიური მიგრანტების შესახებ, რომელიც პირთა ამ წრის უფლება-მოვალეობათა და მათ მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებათა რეგლამენტაციას მოახდენდა. ეს ფაქტორი შესაბამისად აისახა ეკომიგრანტების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაზე, მაგალითად, 2005 წლის გაზაფხულიდან 9 თვის განმავლობაში აჭარაში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, გურიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში სტიქიის შედეგებზე მთავრობის რეაგირების ზომების მიმოხილვაც კმარა¹⁴. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეკოლოგიური მიგრაციის სამსახურს არ გააჩნდა ინფორმაცია სტიქიის შედეგად დაზარალებული რაიონებისა და დაზარალებულ ადამიანთა რაოდენობის შესახებ.

¹³ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების 2005 წლის ანგარიშის შემუშავებისადმი მიძღვნილი სემინარის მასალები; სოციალური სექტორის მიმოხილვა.
¹⁴ „საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ. საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების ფინანსური მონიტორინგი“, კვარტალური ანგარიში №3. საქართველოს ახალგაზრდა ორისტიკა ასოციაცია. 2005 წ. დეკემბერი.

1.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტანსივობა უკიდურესი სიღარიბის დაძლევის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 2.

- საზოგადოებრივი სექტორი საკმაოდ აქტიურია სიღარიბის დაძლევის პრობლემის მიმართ. არის ძალების მობილიზების მცდელობა: შექმნილია სამოქალაქო ალიანსი „მომავალი სიღარიბის გარეშე“, დენილითა პრობლემები კაზე მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქსელი CRINGO.
- საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები ნაკლებად ახდენენ თავიანთი საქმიანობის იდენტიფიცირებას ათასწლეულის განვითარების მიზნებთან.
- საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის არსებობს ინფორმაციულ დონეზე თანამშრომლობა, ზოგიერთ შემთხვევაში ხორციელდება ხანგრძლივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ერთობლივი, მიზანმიმართული პროექტების დაგეგმვა/რეალიზაცია.
- პროექტებს, როგორც წესი, ორგანიზაციები დამოუკიდებლად ან 2-3 ორგანიზაციის გაერთიანების გზით ახორციელებენ.

საქართველოში სიღარიბისა და ზოგადად ათასწლეულის განვითარების მიზნების ჩარჩოში მოქცეული პრობლემების სიმწვავემ აგმ¹⁵-სადმი სამოქალაქო საზოგადოების დიდი ინტერესი განაპირობა. ამის ერთ-ერთ მაგალითს კამპანია - „ათასწლეულის განვითარების მიზნები დღის წესრიგში“ წარმოადგენს. იგი 2005 წელს წამოიწყო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციამ, რომელშიც ერთიანდებიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და „ველფარ ფაუნდემენი“.

კამპანია მიზნად ისახავდა გაეროს მიერ დეკლარირებული ათასწლეულის განვითარების მიზნების პოპუ-

ლარიზაციას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას, რათა მათი მხრიდან ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების პრიორიტეტულობის აღიარებისთვის მიეღწია.

აღნიშნული კამპანიის განხორციელებისას დღის წესრიგში დადგა კოალიციის წევრთა ჩართვა საერთაშორისო მოძრაობაში – სიღარიბის დასაძლევად გლობალური მონოდება ქმედებისაკენ (GCAP). ჩამოყალიბდა სამოქალაქო ალიანსი „მომავალი სიღარიბის გარეშე“¹⁶, რომელიც დღეისათვის 70-მდე საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და ინდივიდუალურ პირს აერთიანებს. განხორციელებული საქმიანობით – საზოგადოების ინფორმირებით, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებებით – ალიანსი ცდილობს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევასა და საქართველოში სიღარიბის დაძლევის შეუწყოს ხელი.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი სექტორის როლი სახელმწიფოს მიერ სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებისა და არსებული არასრულყოფილი სისტემის რეფორმის პროცესში მხოლოდ მონიტორინგით არ შემოიფარგლება. სამოქალაქო ალიანსი „მომავალი სიღარიბის გარეშე“-ს წარმომადგენლები ამ პროცესების უშუალო მონაწილეებად იქცნენ. მაგალითად, ალიანსმა შეიმუშავა რეკომენდაციები ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების 2005 წლის ანგარიშის მომზადების პროცესში. რეკომენდაციები პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს წარედგინა.

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“, ასევე „ველფარ ფაუნდემენის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სახლი“-ს მიერ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრის (23.06.2005) შედეგად შემუშავდა კომენტარი/რეკომენდაციები „სოციალუ-

¹⁵ ათასწლეულის განვითარების მიზნები
¹⁶ www.wightband.ge

რად დაუცველ ოჯახთა დახმარების სახელმწიფო პროგრამასთან“ მიმართებაში.

ალიანსის წევრი ორგანიზაციების - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა და ოქსფამის წარმომადგენლები სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში შექმნილი მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს წევრები არიან. საბჭოს მიზანია სააგენტოს პროგრამების მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ამ პროგრამებისთვის შესაბამისი წინადადებებისა თუ რეკომენდაციების მომზადება.

საზოგადოებრივი სექტორი კონკრეტულ პროექტებს ახორციელებს სიღარიბის დაძლევისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ეკონომიკური პროგრამის ინიციატივით საქართველოში ოქსფამის წარმომადგენლობასთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა სამეგრელოს რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი პროექტი. პროექტის მიზანია რეგიონში მოსახლეობის დასაქმების და სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობა. აღნიშნულის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებს ერთის მხრივ, მცირე მენარმეთა დახმარებას ბიზნესის გაძლოლის საკითხებში, ხოლო მეორეს მხრივ, დასაქმების სააგენტოს სამეგრელოს რეგიონალური ოფისის ტექნიკურ დახმარებას. პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს უმუშევრების მონაცემთა ბაზის შექმნა და მენარმეთა სტიმულირება, რათა გამოიყენონ ეს ბაზა ბიზნესში მათი დასაქმებისათვის. აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანი ნაბიჯია რეგიონში დასაქმების პრობლემის შერბილებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, კვლავაც ძნელი სათქმელია, რამდენად ახდენენ საზოგადოებრივ და სახელისუფლო სექტორებს შორის თანამშრომლობის ერთეული შემთხვევები გავლენას კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაცია.

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

- რუსუდან ტაბატაძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ლალი ჩხეტია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- გიორგი ლაფერაშვილი, „ოქსფამის“ წარმომადგენლობა;
- ლაშა ლორია, „ველფეარ ფაუნდეიშენი“;
- ნინო გიგუაშვილი, „ველფეარ ფაუნდეიშენი“.





მიზანი №2: მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა

2.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 1.8

- მთავრობას შემუშავებული აქვს განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის პოლიტიკა და სტრატეგია, რაც მთელ რიგ საკანონმდებლო პაკეტებში აისახება.
- განათლების რეფორმას ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- მთავრობის მიერ განათლების სექტორის დაფინანსება მკვეთრად გაიზარდა. მოიმატა ასევე დაფინანსებული პროექტების რაოდენობამაც.
- მთავრობის მიერ ინიცირებულ პროგრამებში აქტიურად ერთვებიან დონორი ორგანიზაციები და საზოგადოებრივი სექტორი.

ათასწლეულის მიზნების ფარგლებში საქართველომ იკისრა ვალდებულება 2015 წლისათვის განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების გზით მოეხდინა საქართველოს განათლების სისტემის მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. ამ

მიზნის მიღწევის თვალსაზრისით პოზიტიური წინსვლა შეიმჩნევა. მთავრობა აქტიურად მუშაობს, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ საქართველო გეგმაზომიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დასახული მიზნის მიღწევაში, სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერას უწევენ საზოგადოებრივი და დონორი ორგანიზაციები.

2.1.1. ამოცანა 4: დანუბიტი ბანათლები ღონის შენარჩუნება, სასკოლო ბანათლები 12 წლიან ციკლზე გადაყვანა, სასკოლო ბანათლები ხარისხის საერთაშორისო შეფასების სისტემაზე ჩართვა, ინსტიტუციური აღაქვატურების მიღწევა თანამედროვე სასკოლო ბანათლები სისტემაზე

საქართველოში სასკოლო ბანათლები რეფორმის ტენდენცია ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია. ბანათლები სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად 2004 წელს მიღებულ იქნა „ზოგადი ბანათლები ეროვნული მიზნების“ შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა „ზოგადი ბანათლები შესახებ კანონი“ და მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები, რომელთა ერთობლიობა სასკოლო ბანათლები რეფორმის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

რეფორმის ფარგლებში მთლიანად შეიცვალა სკოლების მართვისა და დაფინანსების სისტემა. განხორციელდა სკოლების მართვის სისტემის დეცენტრალიზაცია, დაიწყო ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსების სისტემის დანერგვა, სახელმწიფო სკოლები საჯარო სამართლის სუბიექტებად დაფუძნდნენ. შეიცვალა სასკოლო ბანათლების შინაარსობრივი მხარეც. ბანათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თაოსნობით შემუშავდა მოსწავლეზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმები, რომლებიც მოსწავლისა და მასწავლებლის თვითგანვითარებაზეა გათვლილი. 2005 წლიდან საქართველო ჩართო მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო შეფასების წესმ სისტემაში. სასკოლო ბანათლება 12-წლიან სასწავლო ციკლზე გადავიდა. სამინისტროს ინფორმაციით, ის მო-

ზარდები, რომლებიც 2006 წელს მე-10 კლასში სწავლობენ, უკვე 12 წლიან სასწავლო ციკლზე გადავიდნენ.

2004 წლიდან ბანათლების სფეროს დაფინანსება მკვეთრად გაიზარდა. მთავრობა ახალი პროექტების ინიციატივით გამოვიდა. „იაკობ გოგებაშვილის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარეობს სკოლების შენობა-ნაგებობების და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია; სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა „ირმის ნახტომი“ კი 4 წლის განმავლობაში საქართველოს ყველა სკოლის კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. აღნიშნული პროგრამები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასევე დონორი ორგანიზაციების მიერ ფინანსდება. აღნიშნის ღირსია მთელი რიგი მცირე პროგრამები, რომლებიც დონორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით ხორციელდება. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა და სხვა. 2001 წლიდან მსოფლიო ბანკის დახმარებით მიმდინარეობს ბანათლების სისტემის გარდაქმნისა და გამტკიცების პროექტი. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

2.1.2. ამოცანა 5: უმაღლესი ბანათლები დანუბაზულება აკრედიტაციის სისტემის ჩამოყალიბება; ინსტიტუციური აღაქვატურების მიღწევა თანამედროვე უმაღლესი ბანათლები სისტემაზე

საქართველოს ბანათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემა, რაც ბანაპირობა უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების მექანიზმის შეცვლამ. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, დაწესებულებებზე ორიენტირებული დაფინანსება შეიცვალა სტუდენტზე მიბმული დაფინანსების სისტემით, ხოლო უმაღლესი ბანათლების სფეროში ხარისხის მართვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აკრედიტაცია სავალდებულო გახდა ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლისათვის. 2005-2006

ნლებში ქვეყანაში ჩატარებულმა აკრედიტაციამ ორჯერ შეამცირა უმაღლესი დანესებულებების რიცხვი. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე ხორციელდება მხოლოდ ე. წ. „ინსტიტუციური აკრედიტაცია“, რადგან ჯერ კიდევ არაა მომზადებული შინაარსობრივი აკრედიტაციისათვის საჭირო სტანდარტები (მაგ. იურიდიული სკოლების აკრედიტაცია და ა.შ.).

კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს წარმოადგენს, ერთობლიობაში არეგულირებს თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემებთან ინსტიტუციური შესაბამისობის მიღწევის საკითხებს. პირველად სახელმწიფოს ისტორიაში, 2005 წლის ზაფხულში სამინისტროს მიერ შექმნილმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდები – ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში, ზოგად უნარებსა და მათემატიკაში. უმაღლესი განათლების სისტემა სამ საფეხურიან მოდელზე გადავიდა, რაც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეებს. უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო უმაღლეს დანესებულებებს მიენიჭათ სრული იურიდიული ავტონომია.

2.1.3. ამოცანა 6: პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზარზე ორიენტირებულ სისტემაზე გარდაქმნა; პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის განვითარების ინსტიტუციური ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბება

ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ-ჯერობით არ ხასიათდება განსაკუთრებული ინტენსივობით. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემუშავების სტადიაშია კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2006 წლის ბოლომდე საქართველოს პარლამენტს წარედგინება განსახილველად. აღნიშნული კანონპროექტის შინაარსი უცნობი რჩება ფართო საზო-

გადოებისათვის. სამინისტრო ასევე გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის 10 პროფტექნიკური სასწავლებლის გახსნას.

2.1.4. ამოცანა 7: ინკლუზიური და ინტეგრირებადი განათლების პროგრამების ამუშავების კუთხით სახელმწიფო გეგმაზომიერად მოქმედებს. ეს აისახება ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში ცენტრალურ ადგილს მოსწავლეს და მის მიღწეულ შედეგებს ანიჭებს. აქვე გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები. თუ აქამდე საგანმანათლებლო პროგრამები და სტანდარტები გათვლილი იყო ე. წ. „საშუალო მოსწავლეზე“ და ამის გამო მოსწავლეების ნაწილი საგანმანათლებლო სივრცის გარეთ ხვდებოდა, ახალი სასწავლო გეგმა უკლებლივ ყველა მოსწავლეზეა ორიენტირებული. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში ვაუჩერის გაზრდილ ღირებულებას ითვალისწინებს.

ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლების პროგრამების ამუშავების კუთხით სახელმწიფო გეგმაზომიერად მოქმედებს. ეს აისახება ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში ცენტრალურ ადგილს მოსწავლეს და მის მიღწეულ შედეგებს ანიჭებს. აქვე გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები. თუ აქამდე საგანმანათლებლო პროგრამები და სტანდარტები გათვლილი იყო ე. წ. „საშუალო მოსწავლეზე“ და ამის გამო მოსწავლეების ნაწილი საგანმანათლებლო სივრცის გარეთ ხვდებოდა, ახალი სასწავლო გეგმა უკლებლივ ყველა მოსწავლეზეა ორიენტირებული. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში ვაუჩერის გაზრდილ ღირებულებას ითვალისწინებს.

2.2. საზოგადოებრივი სექტორის აქტიურობის ინტენსივობა მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 2.

- საზოგადოებრივ სექტორში განათლების რეფორმის ხელშეწყობის მიზნით ძირითადად ერთობლივი ან კოალიციური პროექტები ხორციელდება. ამ მიზნით რაიმე ტიპის ქსელი არ შექმნილა.
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო განათლების რეფორმის მსვლელობაში. კერძოდ, მონაწილეობდნენ „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ შემუშავების პროცესში. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთმა ჯგუფმა განახორციელა კოალიციური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სასკოლო განათლების სისტემაში დემოკრატიული ღირებულებებისა და მართვის პრინციპების დამკვიდრებას, სკოლების მართვის დეცენტრალიზაციასა და მათ მდგრად ავტონომიურ ერთეულებად ჩამოყალიბებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასევე აქტიურად მუშაობენ საშუალო სკოლებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმების დანერგვის საკითხებზე, რაც სისტემის გამჭვირვალობის გაზრდისა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პოპულარიზაციის წინაპირობაა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართულნი არიან პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელთა გადამზადებისა და სხვადასხვა სახის სანვრთნელ პროექტებში.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ჯგუფი მუშაობდა ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეფექტური თვითმმართველობის დამკვიდრების საკითხებზე. გარდა ამისა, დონორმა ორგანიზაციებმა ე.წ. „ბოლონის პროცესთან“ მიერთების ხელშეწყობის მიზნით დააფინანსეს მთელი რიგი მცირე პროექტები.

2000-2001 წელს კავშირმა „ინვალისტი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ პირველად განახორციელა კოალიციური პილოტური პროექტი ოთხი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილეობით ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დააფინანსა. №10, №24, №6 სკოლებში დაინერგა ინკლუზიური კლასები.

2003-2004 წლებში სოციალური დაზღვევის ფონდმა კვლავ გააგრძელა თანამშრომლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (სოციალური კლიპები, ბილბორდები, პლაკატები).

აღსანიშნავია საზოგადოებრივი სექტორის ინტერესი ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლების მიმართ

და მისი აქტიური თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან:

შეიქმნა ინკლუზიურ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბჭო და გაფორმდა განათლების სამინისტროსთან, როგორც პარტნიორთან, შემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ. ამ ეტაპზე განათლების სამინისტროს მიღებული აქვს გრანტი და საბჭოსთან ერთად 10 სკოლაში ახორციელებს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროექტს.

თბილისის მერიის დაფინანსებით ხორციელდება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა №10 სკოლაში (ასოციაცია „ანიკა“) და ფსიქო-კორექციული მუშაობა შემდგომი ინკლუზიისთვის (სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „იმედი“).

ამავე მიზნით „ინვალისტი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური ხელშეწყობით ახორციელებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ფსიქო-კორექციულ მუშაობას.

აღსანიშნავია აგრეთვე ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“-ს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საბავშვო ბაღების ბაზაზე განხორციელებული პროექტი, ასევე „თანადგომის“ პროექტი – „საკვირაო სკოლა“.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა ნინო გოგიბერიძის (მედია საბჭო), „ინვალისტი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებისა“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემები.

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

- ქეთი ჩაჩხიანი, თავისუფლების ინსტიტუტი;
- მაკა ნადარეიშვილი, 23-ე სკოლა;
- გიორგი კვანტალიანი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი;
- გიორგი მაჩაბელი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.

Equity

Signature

Signature

no



მიზანი №3: გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდა

3.1. მთავრობის ქვეყნის ინტენსივობა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 0.7

- მთავრობას არ აქვს შემუშავებული სტრატეგია დასაქმების სფეროში თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერული პარამეტრის მიზნობრივად გათვალისწინების და რეგულირებისათვის.
- დასაქმების სახელმწიფო სამსახურის გაუქმება ამძიმებს შრომის ბაზარზე არსებულ გენდერულ დისბალანსს, როგორც დასაქმების კუთხით, ასევე შემოსავლების განაწილების მხრივ.
- მთავრობის მიერ არ არის ინიცირებული შრომითი რესურსების თანამედროვე პირობების შესაბამისი მომზადება-გადამზადების პროგრამები. ამ მიმართულებით განხორციელებული პროგრამები ძირითადად დონორების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება. მთავრობის როლი პროგრამების დაფინანსებაში მინიმალურია.
- მთავრობა არ ახორციელებს საზღვრისპირა, მაღალმთიან და რთულ დემოგრაფიულ რეგიონებში დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებებს მოსახლეობის და განსაკუთრებით, ქალთა სიღატაკის თავიდან აცილების მიზნით.

- მთავრობის მიერ არ არის უზრუნველყოფილი შრომის ანაზღაურების სფეროში თანასწორობის პრინციპი. ქალების დაბალი შემოსავალი დასაქმების ხასიათითაა განპირობებული და არა „თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების“ პრინციპის დარღვევით.
- მთავრობას არა აქვს შემუშავებული პოლიტიკაში ქალთა ჩართვის ეფექტური მექანიზმები.
- მთავრობას შესაშუშავებელი აქვს პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის სტრატეგია.
- მთავრობა არ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს ქალის სამოქალაქო და პოლიტიკური სტატუსის გაუმჯობესების მიმართულებით. ქალთა საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობის ყველა, აქამდე არსებული პრეცედენტი ფორმალური ან ფრაგმენტული იყო.
- სახელმწიფოს მხრიდან პროგრესული ქმედება 2005 წელს საქართველოში გენდერული თანასწორობის ორი ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის მომზადება.

3.1.1. ანოტაცია 8: დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

შრომით ურთიერთობებს ქვეყანაში „შრომის კანონთა კოდექსი“,¹⁷ „დასაქმების შესახებ“ და „საჯარო სამსახურის“ შესახებ კანონები არეგულირებენ. არსებული კანონმდებლობა შესაბამისობაშია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებთან, რომლებშიც ქალებისათვის შეღავათები და გარანტიები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

აღნიშნული კანონები აღიარებენ სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციისაგან დაცვის პრინციპს. თუმცა შრომის ბაზარზე ზემოთ აღნიშნული პრინციპი ხშირად ირღვევა.

შესაბამისად, შრომის ბაზარზე გენდერული დისბალანსი არსებობს, როგორც დასაქმების სფეროების, ასევე შემოსავლების განაწილების კუთხით. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და მიწოდება საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისად არსებობს და ამ სფეროში გენდერული პარამეტრის მიზნობრივი გათვალისწინება და რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება.

ქალები უმეტესად დასაქმებულნი არიან, ისევე როგორც ადრე, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებში. მტკიცენიერი ხასიათი მიიღო პრევატიზაციის პროცესმა სამუშაო ადგილების შემცირების და დასაქმებულთა ანაზღაურების კლების გამო. 2004 წლის მონაცემებით განათლების სექტორში დასაქმებულთა 80% ქალია. იმავე წლის მონაცემებით ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში დასაქმებულთა 77%-ს ქალები წარმოადგენენ.¹⁸ ამგვარად, ქალთა უმეტესობა დასაქმებულია დაბალ ანაზღაურებად ეკონომიკურ სექტორებში.

საქართველოში მომუშავე ადამიანების 67% თვითდასაქმებულია. მათი უმრავლესობა აუნაზღაურებადი შრომით არის დაკავებული. მათგან, ანუ თვითდასაქმებულ მენარმეთა შორის, მენარმე ქალთა რაოდენობა 2-ჯერ ნაკლებია მამაკაცებზე (ქალი - 13,8%, კაცი - 26,2%). აღსანიშნავია, რომ თვითდასაქმებულთა უმრავლესობა მუშაობს აგრარულ სფეროში და მათგან 85% ქალია.¹⁹ ამ სფეროში, სადაც ფიზიკურ შრომაზე მოდის მთელი დატვირთვა და ძალიან მცირეა შრომის ანაზღაურება, ისევე ქალები ჭარბობენ. მათი ყოველთვიური საშუალო წმინდა შემოსავალი მამაკაცთა შემოსავლის 58%-ს შეადგენს. ანალოგიური მაჩვენებელი ვაჭრობის სფეროში 68%-ია.²⁰ 2004 წლის მონაცემებით ქალების ნომინალური ხელფასი ეკონომიკის ყველა დარგსა და ყველა სექტორში შეადგენდა დაქირავებით დასაქმებულ მამაკაცების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მხოლოდ 60%-ს.²¹

ზოგადად, შრომის ბაზარზე გაცილებით მეტი მოთხოვნაა არა კვალიფიცირებულ კადრებზე, შესაბამი-

¹⁷ 2006 წლამდე ქვეყანაში მოქმედებდა 1976 წლის შრომის კანონთა კოდექსი. ახალი კოდექსი პარლამენტმა 2006 წელს მიიღო.
¹⁸ იქვე, გვ.61
¹⁹ იქვე, გვ.61-62
²⁰ იქვე, გვ.59
²¹ „ქალი და მამაკაცი საქართველოში“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. 2005 წელი. გვ.67-68

სი დაბალ ანაზღაურებადი განაკვეთებით. სახელმწიფო პროგრამები შრომითი რესურსების თანამედროვე პირობების შესაბამისად მომზადება- გადამზადებისათვის არ ხორციელდება²². ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დასაქმებულთა შორის აქვთ საშუალო განათლების მქონე პირებს (ქალები 38%, კაცები 41%²³).

ქალების სამსახურში მიღებისას აშკარად შეინიშნება ფარული დისკრიმინაცია. ადმინისტრაცია ცდილობს სამუშაოდ არ აიყვანოს ქალთა ის კატეგორია, რომლებზეც კანონით დაწესებული შეღავათები ვრცელდება, ვინაიდან ეს „ზედმეტ“ ხარჯებს იწვევს. ამის მაგალითია, ფეხმძიმე და ჩვილ ბავშვიან ქალთა დისკრიმინაცია სამსახურში მიღების დროს.²⁴

სახელმწიფო სტრუქტურებში ბიუჯეტის სიმწირით გამოწვეულ ოპტიმიზაციის პროცესში უმეტესად ქალებს მოიაზრებენ შემცირების სამიზნეებად. საბიუჯეტო დაწესებულებებიდან, 2004 წლის მონაცემით, სხვადასხვა მიზეზით განთავისუფლებულია მომუშავეთა 41,1%, მათგან 47,5 % ქალია²⁵.

ქვეყანაში უმუშევრობის დონე მაღალია - 2005 წლის მე-2 კვარტლის მონაცემებით უმუშევრობის დონე 15,7%-ს შეადგენდა. არადა, სახელმწიფოს უმუშევართა მთლიანი კონტინგენტის ძალზედ მცირე ნაწილი ჰყავს დარეგისტრირებული (რეგისტრირებული უმუშევრობის მაჩვენებელია 46,6% და აქედან ქალთა ხვედრითი წილი 24,1%-ია). 2004 წელს უმუშევრობის შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: ქალები 16,4%, მამაკაცები 18,1% ანუ 2002 წელთან შედარებით ქალთა უმუშევრობის დონემ 4,5 %-ით აიწია. ქალთა უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 30 – 39 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება და დაახლოებით 2,7 %-ით მაღალია, ვიდრე მამაკაცების ანალოგიური მაჩვენებელი.²⁶

უმუშევარ ქალთა შორის უმეტესად ჭარბობენ განათლებული, მაღალი პროფესიონალიზმისა და კვა-

ლიფიკაციის მქონე კადრები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (3-5 წელზე მეტი) უმუშევრობის გამო განიცდიან დისკვალიფიკაციას და თანდათან იდევენებიან შრომის ბაზრიდან.²⁷

2004 წლის მონაცემებით უმუშევარ ქალთა 37% უმაღლესი განათლებით იყო. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დასაქმებულთა შორის აქვთ საშუალო განათლების მქონე ადამიანებს: ქალები – 38%; მამაკაცები – 41%. ანუ შრომის ბაზარზე გაცილებით მეტი მოთხოვნა არაკვალიფიცირებულ კადრებზე. ასევე, არ ხდება არსებული შრომითი რესურსების გადამზადება თანამედროვე პირობების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით.²⁸

ქალთა შრომითმა მიგრაციამ უცხოეთში ფართო მასშტაბები მიიღო. (მამაკაცებთან შედარებით 1.6-ჯერ მეტი ქალია ამ მიზნით საზღვარგარეთ წასული). საგარეო ბაზარზე მოთხოვნა დაბალ კვალიფიკაციურ სამუშაო ძალაზეა და ქალები ასრულებენ მათი პროფესიისა და კვალიფიკაციისთვის სრულიად შეუსაბამო სამუშაოებს. ყოველი მესამე ქალი დასაქმებულია მომვლელად (ძირითადად, მოხუცთა მომვლელები), 9% მუშაობს ოჯახში ბავშვთა მომვლელ-ალმზრდელად; სპეციალობით მხოლოდ მცირე ნაწილი – 7% მუშაობს.

არსებობს არალეგალურ მიგრანტთა ტრეფიკინგის შემთხვევები. მაგალითად, 2004-2005 წლების სტატისტიკით საქართველოს პროკურატურაში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სულ აღძრულია 30 სისხლის სამართლის საქმე, დაზარალებულია 78 ადამიანი და აქედან 69 ქალია, 14-35 წლამდე ასაკის.²⁹

სამართლებრივი შეზღუდვების არ არსებობის მიუხედავად, საქართველოში ქალის კარიერული წინსვლის შესაძლებლობები მაინც შეზღუდულია. მრავალ ორგანიზაციაში მოქმედებს უხილაჟი ე. წ. „მინის ჭერის“ ფენომენი, რომელიც ქალის დანიშნულებას ზღუდავს. მაგალითად,

²² სახელმწიფოს არ დაუფინანსებია პროფესიული გადამზადებისა და რეგულარული გადამზადების არცერთი პროგრამა. ამ ტიპის სწავლება ძირითადად ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების ან საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით.

²³ იქვე, გვ.65

²⁴ CEDAW Assessment Tool Report, American Bar Association, article 11, Georgia, 2003

²⁵ „ქალი და მამაკაცი საქართველოში“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2005 წელი.

²⁶ „ქალი და მამაკაცი საქართველოში“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2005 წელი.

²⁷ „დასაქმების სფეროს გენდერული ასექტები“, ასოციაცია „ამაგდარი“, 2005 წელი.

²⁸ „ქალი და მამაკაცი საქართველოში“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2005 წელი. გვ.56

²⁹ Newsletter, Human Rights Protection Unit Legal Department Office of The Prosecutor General of Georgia, reports for 2005-2006 years.

მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე (4 სახელმწიფო მინისტრიდან 1 ქალია, 13 მინისტრიდან არცერთი არ არის ქალი, ხოლო მათი 46 მოადგილეებიდან ქალი მხოლოდ 9) ქალები დაახლოებით 4%-ს შეადგენენ.

3.1.2. აგოსანა 9: პოლიტიკურ სფეროში და თვითმმართველობის ყველა დონეზე მოღვაწეობის თანაბრად მისაწვდომობა

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა მათ მიერ სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას. არჩევნების სამართლებრივ ჩარჩოებს აწესებს საქართველოს კონსტიტუცია და ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში დეკლარირებულია გენდერული თანასწორობის პრინციპი, ქალებს სინამდვილეში ნაკლებად უკავიათ პოლიტიკური პოსტები.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობა განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებს არ უქმნის მცირე პარტიებს ან ინდივიდუალურად ქალ დეპუტატობის კანდიდატებს.³⁰ საზოგადოებაში გაბატონებული პატრიარქალური პოლიტიკური კულტურის პირობებში ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი უპირატეს მდგომარეობაში მამაკაც კანდიდატს აყენებს. ქალებისთვის პარლამენტში მოხვედრის ერთადერთ რეალურ შანსად პარტიული სიები რჩება. შესაბამისად, ქალთა მონაწილეობის საკითხი დამოკიდებულია შიდა პარტიულ გადაწყვეტილებებზე. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შესწავლა ცხადყოფს, რომ არც ერთ პარტიას თავის პროგრამაში შეტანილი არ აქვს გენდერული საკითხები.³¹ საქართველოს პოლიტიკური პარტიების წევრთა გენდერულმა ანალიზმა აჩვენა, რომ არც ერთ პარტიას არა აქვს ჩამოყალიბებული გენდერული პოლიტიკა და წევრთა გენდერული სტატისტიკა. 2005 წლის მაჩვენებლებით, პოლიტიკური პარტიების წევრთა

საერთო რაოდენობის 30%-ს ქალი შეადგენს. პარტიის მმართველ ორგანოებში ქალები 11%-ს იკავებენ.³² მათი დიდი უმრავლესობა რიგითი წევრები არიან, რომელთა პოტენციის გამოყენება მხოლოდ არჩევნებისთვის მზადების ან სხვა შავი სამუშაოს შესრულების დროს ხდება. საარჩევნო სიების პირველ ათეულში ისინი, როგორც წესი, არ შეჰყავთ.

საქართველოს პარლამენტის 235 წევრიდან ქალი მხოლოდ 22 ანუ 9,7%-ია.

პარლამენტში ქალებს რამდენიმე მნიშვნელოვან პოსტი უკავიათ. პარლამენტის თავმჯდომარე ქალია, ასევე 7 ფრაქციიდან ერთს, საპარლამენტო უმრავლესობას ლიდერი ქალი ჰყავს. საპარლამენტო კომიტეტების 13 თავმჯდომარიდან 2 ქალია – ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი; საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარის 26 მოადგილიდან 5 ქალია.

ქალები აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც საკმაოდ მწირად არიან წარმოდგენილი – 4 სახელმწიფო მინისტრიდან 1 ქალია სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, 13-ვე მინისტრი მამაკაცია. მათი მოადგილეების მხოლოდ 4,7%-ია ქალი.

ქალთა წარმომადგენლობის მხრივ უკეთესი მდგომარეობაა სასამართლო ხელისუფლებაში. მოსამართლეების საერთო რიცხვი 270-ია, მათგან 120 ანუ 44% ქალია.

უმნიშვნელოა ქალთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. 2002 წლის არჩევნების შედეგად ქალთა რიცხვმა საკრებულოებში იკლო წინა 1998 წლის არჩევნებთან შედარებით და პირველი დონის თვითმმართველობის ორგანოებში მხოლოდ 11,9% შეადგინა. გამოიკვეთა საყურადღებო ტენდენცია: ადმინისტრაციული ერთეული რაც უფრო მსხვილდება, მით უფრო იკლებს ქალთა ხვედრითი წილი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სადაც მეტი ძალაუფლება და რესურსია, იქ ნაკლები ქალია.³³ ქალაქის საკრებულოებში დეპუტატი ქალების რიცხვი 8,8%-ია.

³⁰ თამარ საბუღაძე, ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები, სალექციო კურსი, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი, 2005.
³¹ „დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში“, ნაწილი 5: გენდერული თანასწორობის საკითხი საქართველოში, კვლევის ავტორი ლ. ზომბორკი, გვ. 73, 2003 წ.
³² საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის არსებული სიტუაცია, მოხსენების ავტორი მაია კუპრავა-მარვაშიძე, 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების სამზადისში: ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა საქართველოში, კონფერენცია. 2006 წელი 8 მარტი (NDI – საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი).
³³ სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2003 წელი.

2005 წლისთვის ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 13,2 %-ით განისაზღვრა.

ქალთა წარმომადგენლობის მხრივ საინტერესო მდგომარეობა სამხარეო და რაიონულ ადმინისტრაციულ ორგანოებში. საქართველოს არც ერთ ქალაქს არ ჰყავს მერის და რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ქალი; 5 ქალი არის არჩეული საკრებულოს თავმჯდომარედ.

ადგილობრივ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის ხარისხი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. ყველაზე დაბალი პროცენტია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს აზერბაიჯანელი მოსახლეობა. ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ლენტეხის რაიონში – 2%, ყველაზე დაბალი მარნეულის რაიონში – 0,9%.³⁴

სახელმწიფოს მიერ გადადგმულ მნიშვნელოვან და პროგრესულ ნაბიჯად აღიქმება 2005 წელს საქართველოში გენდერული თანასწორობის ორი ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა: გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო³⁵, რომელიც ექვემდებარება პარლამენტის თავმჯდომარეს და გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია.³⁶ კომისიასთან თანამშრომლობს გენდერული თანასწორობის დარგში მომუშავე მრჩეველთა საბჭო³⁷, რომელშიც გაერთიანებულია 17 ადგილობრივი ექსპერტი.

აღსანიშნავია, რომ სამთავრობო კომისია შეიქმნა ადგილობრივი ორგანიზაციების ძალისხმევით, ანუ ინიციატივით ქვემოდან, რაც საკმაოდ უჩვეულო პრეცედენტია. ასევე მნიშვნელოვანი ინიციატივაა ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის „ქალი და პოლიტიკა“-ს პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე შექმნილი გენდერული სამსახურები.

გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს და სამთავრობო კომისიის მიერ ერთობლივად (გაეროს ოფისების ხელშეწყობით) შემუშავებული გენდერული

თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია მომზადებულია და ამჟამად საპარლამენტო მოსმენების პროცედურას გადის. სავარაუდოდ, პარალელურად განისაზღვრება და ჩამოყალიბდება თანასწორობის უზრუნველყოფის კონკრეტული აღმასრულებელი მექანიზმები.

3.2. საზოგადოებრივი სექტორის აქტივობის ინტენსივობა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაზრდის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 1

- საზოგადოებრივი სექტორი აქტიურად იყო ჩართული და კონკრეტულ რეკომენდაციებს აწვდიდა მთავრობას ახალი შრომის კოდექსის მომზადების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპის უკეთ დანერგვის მიზნით. რეკომენდაციების უმეტესობა არ იქნა გათვალისწინებული, რამაც განაპირობა სკეპტიკური და ნეგატიური დამოკიდებულება დასაქმების სფეროში მთავრობის პოლიტიკის მიმართ.
- საზოგადოებრივი სექტორი იშვიათი გამონაკლისის გარდა ვერ ახერხებს დასაქმების სფეროში სერიოზული მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას არასაკმარისი ფინანსების გამო.
- საზოგადოებრივ სექტორში ჩამოყალიბებულია ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციათა კოალიცია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პოლიტიკურ და არჩევნების პროცესებში ქალთა გააქტიურება/გაძლიერება. კოალიციის ორგანიზაციებს შორის არსებობს ინფორმაციული თანამშრომლობა, ხორციელდება ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/რეალიზაცია. თუმცა მათი საქმიანობის სრულყოფილ ეფექტურობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.
- უმეტეს შემთხვევაში პროექტები ხორციელდება ცალკეული ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებლად ან 2-3 ორგანიზაციის პარტნიორული თა-

³⁴ „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“, „ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში“ სტატიის ავტორი ლევა ნადარაია, კრებული მომზადდა კავშირი „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ მიერ, თბილისი 2005, „დობერა“, გვ 222.ა
³⁵ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებულება №105/3, 27/10/04.
³⁶ პრეზიდენტის ბრძანებულება №109 28/6/05.
³⁷ პრეზიდენტის ბრძანებულება №109 28/6/05 მუხლი 3, პუნქტი2 14/17/05.

ნამშრომლობის საფუძველზე; არის შემთხვევები, როცა პროექტის ფარგლებში ყალიბდება დროებითი კოალიციური გაერთიანებები, მისი განხორციელების პერიოდში.

საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად აღებულ ვალდებულებათა განხორციელების საქმეში სერიოზული სამუშაოები განახორციელა საზოგადოებრივმა სექტორმა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით.

2001-2002წწ. – “OXFAM“-ის ხელშეწყობით შექმნილმა „არასამთავრობო ორგანიზაციათა დამოუკიდებელ დამკვირვებელთა ქსელმა“ საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც ასოციაცია “ამაგდარმა“ ორი სექტორი შეაფასა: „სიღარიბის გენდერული ასპექტები“ და „შრომის ბაზარი, დასაქმების პოლიტიკა“;

2003წ. – გაეროს ხელშეწყობით საქართველოს ქალთა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს „საქართველოში გაეროს ათასწლეულის მიზნები“, რომლის ფარგლებშიც ასოციაცია “ამაგდარმა“ მოამზადა რეკომენდაციები ორი მიზნობრივი მიმართულებით: „სქესთა თანასწორობისა და ქალთა ძალაუფლების გაზრდა“ და „სიღარიბე და განვითარება საქართველოში“.

საზოგადოებრივი სექტორი აქტიურად იყო ჩართული და კონკრეტულ რეკომენდაციებს აწვდიდა მთავრობას ახალი შრომის კოდექსის მომზადების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპის უკეთ დანერგვის მიზნით. სამწუხაროდ, რეკომენდაციების უმეტესობა არ იქნა გათვალისწინებული. ამან განაპირობა სკეპტიკური და ნეგატიური დამოკიდებულება დასაქმების სფეროში მთავრობის პოლიტიკის მიმართ.

საზოგადოებრივი სექტორი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ახერხებს დასაქმების სფეროში მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას არასაკმარისი

ფინანსური უზრუნველყოფის გამო.

სამოქალაქო სექტორში ჩამოყალიბებულია ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს ქალთა პოლიტიკურ და არჩევნების პროცესებში გააქტიურება/გაძლიერება წარმოადგენს.

კოალიციის შიგნით არსებობს ინფორმაციული თანამშრომლობა, ხორციელდება ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/რეალიზაცია. საქმიანობის სრულ ეფექტურობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა აღსანიშნავია ამ ძალისხმევის ორი თვალსაჩინო შედეგი: 2005 წელს გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს³⁸ შექმნა, რომელიც ექვემდებარება პარლამენტის თავმჯდომარეს და გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისიის³⁹ ჩამოყალიბება. კომისიასთან თანამშრომლობს გენდერული თანასწორობის სფეროში მომუშავე მრჩეველთა საბჭო⁴⁰, რომელშიც გაერთიანებულია 17 ადგილობრივი ექსპერტი. სამთავრობო კომისია შეიქმნა ადგილობრივი ორგანიზაციების ძალისხმევით, ანუ ინიციატივით „ქვემოდან“, რაც საკმაოდ უჩვეულო პრეცედენტია. საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის ინსტიტუციური მექანიზმების ჯგუფმა, სამთავრობო კომისიის შექმნის ინიციატივის პარალელურად, ერთ-ს მისი მხარდაჭერით განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა. მის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ქალთა კოალიციის 56 წევრმა ორგანიზაციამ, ქალთა სამშვიდობო ქსელის „ქალთა ერთობა მშვიდობისათვის“ 41-მა წარმომადგენელმა, საქართველოს 10 რეგიონიდან ქალთა რეგიონული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის 88 წარმომადგენელმა. გეგმის შემუშავების პროცესში პარალელურად ჩაერთო სახელმწიფო სტრუქტურების, კერძოდ 14 სამინისტროს 45 წარმომადგენელი.

³⁸ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებულება №105/3, 27/10/04.

³⁹ პრეზიდენტის ბრძანებულება №109 28/6/05.

⁴⁰ პრეზიდენტის ბრძანებულება №109 28/6/05. მუხლი 3, პუნქტი 2 14/17/05.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულია სამოქალაქო განათლების საერთაშორისო ცენტრის, საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშემწყობი ასოციაცია „ამაგდარისა“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

ნინო შიოშვილი, ასოციაცია „ამაგდარი“;
 ლელა გაფრინდაშვილი, „ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის“;
 მარი მესხი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
 ლია სანიკიძე, „ქალები მომავლისთვის“.





№4: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

4.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) — 2.4

- მთავრობას შემუშავებული აქვს სტრატეგია/გეგმა ბავშვთა დაავადებისა და სიკვდილიანობის შემცირების მიმართულებით.
- დაწყებულია რეფორმები, შექმნილია სათანადო ინსტიტუტები და დანაყოფები გამიჯნული ფუნქციებით. თუმცა მათი საქმიანობა დიდი ხანი არ არის რაც დაინყო და ამდენად, შედეგების ეფექტურობა ჯერ კიდევ არ არის მაღალი.
- მთავრობის ინიცირებული პროგრამები ძირითადად დონორების მხარდაჭერით ხორციელდება. მათ რეალიზაციაში აქტიურად არიან ჩართულები სა-

ზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახეზეა მნიშვნელოვანი შედეგები.

- მთავრობის წილი პროგრამების დაფინანსებაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში შობადობის მკვეთრმა კლებამ და ბავშვთა დაავადებისა და სიკვდილიანობის გახშირებამ ქვეყანა დემოგრაფიული საფრთხის წინაშე დააყენა. საქართველოს მთავრობამ დედათა და ბავშვთა დაცვა პრიორიტეტად აღიარა.

2001 წელს შექმნილმა სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც 5 სტრატეგიულ მიმართულებას, მათ შორის ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხს მოიცავდა. გეგმის განხორციელების პერიოდი 2002-2007 წწ-ით განისაზღვრა. 2003 წლის ბიუჯეტი პროგრამის ყველა მიმართულებას აფინან-

სება, მათ შორის ბავშვთა ჯანმრთელობის, კვების და უსაფრთხო გარემოს შექმნის კომპონენტს, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს აღარ აღმოაჩნდა პროგრამის ყველა შემადგენელი კომპონენტის დაფინანსების სახსრები, აუცილებელი გახდა საერთაშორისო დონორების დახმარების გამოყენება.

საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელებულმა ცვლილებებმა ოპტიმიზმის საფუძველი გააჩინა. დღეს საქართველოს მთავრობა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად ახორციელებს რეფორმებს ბავშვთა დაცვისა და ჯანდაცვის სფეროებში. მთავრობამ და გაერთიანებული ერების სააგენტოებმა, გაეროს განვითარების დახმარების ჩარჩო პროგრამის ფარგლებში, მოამზადა 5-6 წლიანი პროგრამა, რომელიც 2006 წლიდან იწყება.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების შედეგად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გატარდა მთელი რიგი ცვლილებები. ჩამოყალიბდა ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომელიც შედის დედათა და ბავშვთა სამმართველო, პროგრამების სამმართველო, სტანდარტების სამმართველო. ცალკე ფუნქციონირებს პოლიტიკის შემუშავებული სამმართველო. სახელმწიფო აფინანსებს შემდეგ პროგრამებს: 0-3 წლამდე ბავშვების უფასო მკურნალობა პირველ და მეორე დონეზე, 3-5 წლამდე ბავშვებისათვის 20%-იანი თანაგადახდა. მუშაობს უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება (03) და ურგენტული სამსახური. თუ დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობასთან ბრძოლის კომიტეტი წინა წლებში მხოლოდ დედათა სიკვდილიანობის შემთხვევებს სწავლობდა, 2005 წლიდან მას დამატება ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევების განხილვისა და ანალიზის ფუნქცია. ცალკე მოქმედი სამედიცინო პროგრამა ითვალისწინებს ანტენატალური მეთვალყურეობის გაუმჯობესებას, კერძოდ ორსულის 4 ვიზიტი ექიმთან და 2-ჯერ ექოსკოპია უფასოა. უფასოდ მიიჩნევა ასევე მშობიარობაც, რადგან შემოღებულა სპეციალური ვაუჩერები მშობიარე ქალებისათვის. თუმცა, შესაძლოა მომავალში ვაუჩერებით სარგებლობის უფლება მხოლოდ სიღარიბის ზღვარზე მყოფ ქალებს დარჩეს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე 2005 წელს ჩამოყალიბდა კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (სახელმძღვანელო პრინციპების) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების, დამტკიცებისა და დანერგვის ეროვნული საბჭო. საბჭოს მიზანია:

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური პრაქტიკის განვითარება და სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება;
- სახელმძღვანელო პრინციპების და პროტოკოლების შემუშავების განხილვის, დამტკიცების და დანერგვის პროცესის კოორდინაცია.

საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებრივი სექტორის დარგობრივი ასოციაციების და სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აგრძელებს ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებისაკენ მიმართული პროგრამების ხელშეწყობას, როგორცაა:

- ძუძუთი კვების და ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფოს ინიციატივის პროგრამა (ბაკსი);
- იმუნიზაციის პროგრამა;
- იოდდეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა;
- შიდსის პროგრამა;
- ბავშვთა ასაკის დაავადებათა მართვის პროგრამა (ბადიმი);
- ახალშობილთა რენიმაციის პროგრამა;
- ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების პროგრამა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის პროგრამა.

აღნიშნული პროგრამები უმეტესწილად ხორციელდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

აქტიური მონაწილეობით. მთავრობის როლი გამოიხატება ოფიციალურ მხარდაჭერაში, დონორი ორგანიზაციების მოზიდვის ხელშეწყობასა და გარკვეული ფინანსური წვლილის შეტანაში ცალკეული პროგრამების რეალიზაციაში (იმუნიზაცია, იოდდეფიციტი, დეინსტიტუციონალიზაცია).

იმუნიზაცია

1994 წლიდან მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის ფართომასშტაბური იმუნიზაციის ეროვნული პროგრამა. გაეროს ბავშვთა ფონდი ეროვნულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს საჭირო მასალების მიწოდებით, ასევე ტარდება ტრენინგები ეპიდემიოლოგებისა და იმუნიზაციის პროგრამის მენეჯერებისათვის, მოსახლეობის საგანმანათლებლო კამპანიები. 2004 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კლარიტასი“-ს წევრებმა სხვა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს „ვიშნევსკაია — როსტოპოვიჩის ფონდის“ მიერ მოწყობილ კამპანიაში, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა და ვაქცინაციის პროცესის წარმატების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

აღსანიშნავია, რომ იმუნიზაციის პროგრამის დაფინანსებაში მთავრობის წილი იზრდება. სახელმწიფომ 2004 წლიდან თავის თავზე აიღო 2 წლამდე ასაკის ბავშვთა იმუნიზაციისათვის საჭირო ვაქცინების 40%-ის შესყიდვა და შესაბამისი ხარჯები გამოყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს 5-14 წლის ასაკის ბავშვების იმუნიზაციისათვის საჭირო ვაქცინების შესყიდვას, თუმცა 2007 წლიდან შეიძლება ამ მხრივ გარკვეული პრობლემები შეიქმნას. საერთაშორისო ორგანიზაციები დღესდღეობით 8 მილიონ 600 ათას დოლარს გამოყოფენ იმუნიზაციის მიზნებზე, სახელმწიფოს წილი კი მხოლოდ 1 მილიონ 750 ათას ლარს შეადგენს. ამდენად, საერთაშორისო დახმარების გარეშე იმუნიზაციის პროგრამის გაგრძელება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. პარტნიორების დახმარებით უკვე შემუშავებულია ბავშვთა იმუნიზაციის პროგრამის 2006-2012 წლების ფინანსური მდგრადობის გეგმა.

იოდდეფიციტი

საქართველოს მთავრობა გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, ნუტრიციის ნაციონალურ ცენტრთან ერთად იოდდეფიციტის პრობლემაზე 1996 წლიდან მუშაობს.

ბევრი რამ გაკეთდა ჩიყვის გავრცელების პრევენციისთვის. ჩიყვის გავრცელება 55%-დან 38%-მდე შემცირდა, იოდირებული მარილის იმპორტი 16-ჯერ გაიზარდა და მისი მოხმარება 1999 წლის 8,1%-იანი მაჩვენებლიდან, 2003 წელს 67%-მდე გაიზარდა. შემუშავებულია იოდდეფიციტის აღმოფხვრისა და მარილის საყოველთაო იოდირების ეროვნული სამოქმედო გეგმა. 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“, რაც საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის აქტიური თანამშრომლობის შედეგია.

4.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიზნით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) — 2.7

- საზოგადოებრივ სექტორში ჩამოყალიბებულია ბავშვთა ინტერესებზე მომუშავე ორგანიზაციათა რეგიონალური ქსელი.
- ქსელის ორგანიზაციებს შორის არსებობს ინფორმაციული თანამშრომლობა, მიმდინარეობს ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/რეალიზაცია. თუმცა მათი საქმიანობა ჯერ-ჯერობით არ არის მიზანმიმართულ, ხანგრძლივ თანამშრომლობაზე ორიენტირებული.
- ცალკეული ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევებში პროექტებს ახორციელებენ დამოუკიდებლად ან 2-3 ორგანიზაციის პარტნიორული თანამშრომლობის

საფუძველზე; ასევე ადგილი აქვს პროექტის ფარგლებში დროებითი კოალიციური გაერთიანებების ჩამოყალიბებას, პროექტის მიმდინარეობის მონაკვეთში.

2001 წელს ჟენევის ოფისის გაეროს ბავშვთა ფონდთან არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომიტეტი ტრანსფორმირდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგიონალურ ქსელად. მასში გაერთიანდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების ბავშვთა ინტერესებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აღნიშნული განპირობებული იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობის გაძლიერებით, ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარებით, გამჭვირვალობის პრინციპის დამკვიდრებით, პარტნიორული თანამშრომლობის გაძლიერებითა და პროექტების დუბლირების თავიდან აცილებით. ამ საერთაშორისო ქსელის წევრ ქვეყნებს დაევალა შიდა კოორდინაციური ორგანიზაციის არჩევა და ადგილობრივი რეგიონალური ქსელის ჩამოყალიბება.

საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით 2003 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად კოორდინაციური გახდა ა/ო „კლარიტასი“. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბავშვთა ინტერესებზე მომუშავე საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქსელი, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ამ სფეროში მოღვაწე 43 ორგანიზაცია. გასული ორი წლის მანძილზე მათ შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობა, მუდმივი ინფორმაციული კავშირის, შეხვედრების, სემინარების, მრგვალი მაგიდების მოწყობისა და საერთო პროექტების განხორციელების მეშვეობით.

ქსელში შემავალი ორგანიზაციები მონაწილეობენ ბავშვთა დაცვის სფეროში მთავრობის მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული პროგრამების და ბავშვთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის მიზნობრივ პროექტებში.

ძუძუთი კვება და „ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფოს ინიციატივა“ (ბაკსი)

ძუძუთი კვებისა და ბაკსის პროგრამა საქართველოში 1995 წლიდან მოქმედებს. პროგრამა ხორციელდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანადგომითა და გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური უზრუნველყოფით (პროექტს ახორციელებს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კლარიტასი“).

პროგრამის ფორმატი ითვალისწინებს საგანმანათლებლო აქტივობებს (სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მოსახლეობის განათლება) და საკანონმდებლო საქმიანობას (ნორმატიული აქტების, საკანონმდებლო ბაზის შექმნა). პროგრამით მომზადებულია 5 000-მდე მედიცინის მუშაკი; 23 სამშობიარო სახლს, სადაც წარმატებით დაინერგა ძუძუთი კვების 10 საფეხური, მინიჭებული აქვს ბაკსის ტიტული.

ჯანდაცვის სამინისტროსთან „კლარიტასისა“ და „ბიოეთიკის და ჯანმრთელობის საკანონმდებლო რეგულაციის ასოციაციის“ მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა კანონპროექტი „ჩვილ ბავშვთა ძუძუთი კვების დაცვისა და ხელშეწყობის და ხელოვნური საკვების მოხმარების რეგულირების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მიიღო. კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობას და მონიტორინგს „კლარიტასი“ ბავშვთა კვების საერთაშორისო ქსელის (IBFAN) ხელშეწყობით ახორციელებს და ამავდროულად ამ მიზნით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოსთან თანამშრომლობს.

ჩატარებული აქტივობების შედეგად მკვეთრად გაიზარდა ძუძუთი კვების სიხშირე. 1993 წლის მონაცემებით ძუძუთი კვების სიხშირე 6 თვემდე ასაკის ბავშვებში 3%-ს შეადგენდა, 2001 წლისათვის იგი 7%-მდე გაიზარდა; სამშობიარო სახლებში ეს მაჩვენებელი 80-90%-ს აღწევს. ეს მნიშვნელოვანია ბავშვთა ჯანმრთელობისა და ჯანსაღი თაობების გაზრდის თვალსაზრისით.

აივ/შიდსი

შიდსის პროგრამის ფარგლებში 2001 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ორსულთა და ახალშობილთა პათოლოგიების გამომწვევი დაავადებების საკითხებზე.

TORCH-ის ცნობილი პროგრამა საქართველოში პირველად დაინტერესდა დედიდან ბავშვზე აივ/შიდსის გადაცემის პრობლემაზე. ა/ო „კლარიტასმა“ გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით განახორციელა აივ/შიდსის დედიდან ბავშვზე გადაცემის პრობლემისა და მისი პრევენციის საკითხების ინტეგრირება ძუძუთი კვების და ბაკსის პროგრამაში.

ბავშვთა ასაკის დაავადებათა ინტეგრირებული მართვა (ბადიმი)

საქართველოში 2002 წლიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მოქმედებს ბადიმის პროგრამა. მის პრაქტიკულ რეალიზაციაში პარტნიორი ორგანიზაციაა „კლარიტასი“, რომელიც ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. პროგრამა მიზნად ისახავს ბავშვებში ყველაზე ხშირად გავრცელებულ დაავადებათა მართვის პრინციპების სწავლებას ამბულატორიულ და პოლიკლინიკურ ქსელში. დღეისთვის გადამზადებულია 500-მდე მედიცინის მუშაკი, მოსახლეობაში გავრცელებულია საგანმანათლებლო ბროშურები და ბუკლეტები, ყველა რეგიონში მომზადებულია სათემო მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებიც ეწევიან მოსახლეობის განათლებას.

ბავშვთა ასაკში ხშირად ავადობას და სიკვდილიანობას რესპირაციული ინფექციები და დიარეა იწვევს. ამდენად, მნიშვნელოვანია პოლიკლინიკების და ამბულატორიების როლი, რომლებმაც ამ და სხვა დაავადებათა პროფილაქტიკა მათ გართულებამდე უნდა მოახდინონ.

ახალშობილთა რეანიმაცია

2001 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები „კლარიტასი“ და „ნეონატუსი“ სპეციალისტებთან ერთად ატარებენ ტრენინგებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სამშობიარო სახლებში მომუშავე მედიცინის მუშაკებისათვის. ტრენინგების ფარგლებში ახალშობილის თანამედროვე რეანიმაციული დახმარების მეთოდებისა და ახალშობილის მოვლის პრინციპების ასწავლიან. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე კლინიკების ინტენსიური განყოფილებების აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მოწყობილობებით, რაც დონორების დახმარებით ხორციელდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სოციალიზაციას დადებითი ფონი შეუქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა ინკლუზიური სწავლების დანერგვის პროგრამებმა, რომლებიც საერთაშორისო დონორების (მერსი ქორი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, „მსოფლიო ბანკის მცირე გრანტების პროგრამა“, „გადავარჩინოთ ბავშვები“, გაეროს ბავშვთა ფონდი) დახმარებით და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით მოქმედებს.

2003 წლიდან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის ნევრი ორგანიზაციები (“ინვალიდ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის კავშირი“, ბიბლიოთეკა – კულტურული ცენტრი უნარშეზღუდულთათვის – „თანადგომა“ და „კლარიტასი“) Mercy Corps-ის დახმარებით ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რეაბილიტაცია, სოციალური იზოლაციის დაძლევა და სასწავლო სისტემაში ინტეგრირება.

Mercy Corps-ის ფინანსური დახმარებით „კლარიტას-მა“ არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველ ნაბიჯთან“ თანამშრომლობით განახორციელა პროექტი „მალალი რისკის ბავშვთა გადარჩენა“. პროექტის ფარგლებში სენაკისა და კასპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლებიდან გურამიშვილის სახ. პედაგოგიულ კლინიკაში სარეაბილიტაციოდ გადმოიყვანეს 20 მალალი რისკის ბავშვი, რომელთაც სპეციალური სამედიცინო მეთვალყურეობა დაუწესდათ. შედეგად, ბავშვებს გაუუმჯობესდათ ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის შემდეგაც 14 მათგანი განაწილდა მიმღებ ოჯახებში და 5 ბავშვის რეინტეგრაცია მოხდა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები აგრძელებენ საქმიანობას ბავშვთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შემდეგი მიმართულებებით:

სატელეფონო „ცხელი ხაზი“ - 1998 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით „კლარიტასის“ ბაზაზე თბილისსა და 4 რეგიონულ ფილიალში ფუნქციონირებს სატელეფონო „ცხელი ხაზი“, რომლის საშუალებითაც მალალკვალიფიციური კონსულტანტები თავდაპირველად მოსახლეობას დახმარებას უწევდნენ მხოლოდ ძუძუთი კვების საკითხებზე, თუმცა შემდგომ „ცხელი ხაზით“ მომსახურების სფერო საერთაშორისო დონორების დახმარებით (გაეროს ბავშვთა ფონდი, „ამქორი“, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, ჩშ) გაფართოვდა და მოიცვა იმუნიზაცია, იოდდეფიციტი, შიდსი, ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობა, პაციენტის უფლებები და სხვა მიმართულებები.

მშობელთა სკოლა - მსოფლიოში ამ ფართოდ აღიარებული ინიციატივის დანერგვა საქართველოში 2003 წლიდან დაიწყო. პროექტის მიზანია ქალთა და ბავშვთა დაავადებების და სიკვდილიანობის პრევენცია. პროექტი სამშობიარო სახლების (37) ტექნიკით აღჭურვის გარდა, ითვალისწინებდა სამედიცინო პერსონალისა და მშობლებისათვის სპეციალური სახელმძღვანელოების შემუშავებას ორსულობის,

მშობიარობის, ძუძუთი კვების, ბავშვის მოვლისა და სხვა საკითხების შესახებ („ორთოსის“ და „კლარიტასის“ წარმომადგენლებისა და სხვა სპეციალისტების

მონაწილეობით). აღნიშნული სახელმძღვანელოების საფუძველზე ჩატარდა ტრენინგები სამედიცინო პერსონალისათვის ორსული ქალებისათვის მალალ პროფესიონალურ დონეზე კონსულტაციის განევის თაობაზე. ტრენინგები ჩატარა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ორთოსი“ გაეროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

იმუნიზაციის საერთაშორისო საინფორმაციო სისტემით და ვაქცინაციით მართვადი დაავადებების ზედამხედველობის გაუმჯობესება - განახორციელა საერთაშორისო ფონდმა „კუარაციო“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტთან და დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით.

ცოფზე ვაქცინაციის ჩატარების გავრცელების ხელშეწყობა - განახორციელა „საქართველოს საზოგადოების ჯანდაცვის ასოციაციამ“, თელავში რეგისტრირებულ 9 საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან კოალიციურად.

ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება შეჭრავებული მრავალშვილიანი ოჯახებიდან და ინვალიდი ბავშვების დახმარების გზით (უფასო ქირურგიული ოპერაციები), სტაციონარში მოხვედრილი ინვალიდი შეჭრავებული ოჯახების ბავშვთა კვება (გურიის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაცია „ბავშვი მომავალი“).

დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში დევნილთა, მათ შორის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა (ჰუმანიტარული სამედიცინო აქციები); სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „დევნილთა ჯანმრთელობის, მდგომარეობის სოციალური საკითხები“ (კავშირი „კოალიცია დევნილთა მხარდაჭერისათვის“).

აღნიშნული პროექტების ნაწილი საერთაშორისო დონორების (UNICEF, Save the Children, UMCOR, Counterpart International, AFG, Mercy Corps, European Comission, CARE, ევრაზიის ფონდი, ექიმების საზღვრების გარეშე და სხვ.) ფინანსური დახმარებით განხორციელდა. ზოგიერთი პროექტის (8) განხორციელებაში მონაწილეობდნენ ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის ფინანსების გამოყოფის გზით.

ჩატარებულმა აქტივობებმა პოზიტიური გავლენა

იქონია ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ოფიციალური მონაცემებით ლეტალობის საერთო მაჩვენებელი 15 წლამდე ასაკის ბავშვებში 2003 წელთან შედარებით, 2004 წელს 1,9%-დან 1,6%-მდე დაიკლო, ხოლო 1 წლამდე ასაკის ბავშვებში 4,3%-დან 4,2%-მდე შემცირდა. ასევე შემცირდა პერინატალური და 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (18,5-დან 18,0-მდე და 28,1-დან 27,2-მდე შესაბამისად).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გატარებული რეფორმებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში მთავრობისა და საზოგადოებრივი სექტორის მხრიდან მიღწეული გარკვეული წარმატებებისა, ბავშვების მდგომარეობა ქვეყანაში ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელია. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ბავშვების 50% სიღატაკის ზღვარზე მყოფ ოჯახებში ცხოვრობს. არადაამაკმაყოფილებელია ასევე მოსახლეობის ინფორმირებულობა, დაბალია სამედიცინო მომსახურების ხარისხი დედათა და ბავშვთა სფეროში. ამის უმთავრესი მიზეზი კი სოციალური დაცვის მექანიზმების არ არსებობაა.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული მონაცემები:

- „კლარიტასი“;
- განწირულ ბავშვთა მოწყალეების ფონდი – „ორთოსი“;
- საქართველოს საერთაშორისო სააგენტო „კურაციო“;
- საქართველოს საზოგადოების ჯანდაცვის ასოციაცია;
- სათემო ორგანიზაციები: „ალბანი“, „გზა საზოგადოებისაკენ“, „ავანგარდი“, „ალტერნეგო“;
- საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაცია „სტუდენტო“;
- საზოგადოება „ბილიკი“;
- გურიის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაცია „ბავშვი მომავალი“;
- გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი;
- პედაგოგთა და მოზარდთა სოციალური ინტერესების

- დაცვის კავშირი „მრეელი“;
- საერთაშორისო ფონდი მსოფლიო ბავშვებისათვის; „იუვენკო“;
- ბავშვთა ფედერაცია;
- კოალიცია დევნილთა მხარდაჭერისათვის; „ნეონატუსი“;
- უნარშეზღუდულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის კავშირი;
- ბიბლიოთეკა – კულტურული ცენტრი უნარშეზღუდულთათვის – „თანადგომა“;
- ბიოეთიკის და ჯანმრთელობის საკანონმდებლო რეგულაციის ასოციაცია.

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

- დარეჯან როგავა, კოალიცია იგპ-თა მხარდაჭერა;
- გიორგი კვაბზირიძე, „იუვენკო“;
- თეა ბერიტაშვილი, „ორთოსი“;
- მედეა ბელეშაძე, „კლარიტასი“;
- ქეთევან ჩხატარაშვილი, „კურაციო“;
- თამარ ბახტაძე, მ. გ. პედიატრიული კლინიკა;
- შოთა მალლაკელიძე, საქართველოს ბავშვთა ფედერაცია.





მიზანი №5: დღივით ჯანმრთელობის გაუმჯობესება

5.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა დღივით ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 1,8.

- ჯანმრთელობის დაცვის განვითარების 2000-2009 წლების სტრატეგიული გეგმა.
- დაწყებული რეფორმები, შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი; მიღებულია ახალი კანონი ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ და შემუშავებულია კანონპროექტი რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაძმარე ტექნოლოგიების შესახებ; მოქმედებს შესაბამისი დანაყოფები და სამუშაო ჯგუფები.
- მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს ბიუჯეტი 20%-ით გაიზარდა, მთავრობის წვლილი რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსებაში მაინც უმნიშვნელოა.
- მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამების დიდი ნაწილი დონორების მხარდაჭერით ხორციელდება, მათ რეალიზაციაში აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები.
- მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები ხშირად არაეფექტურია, რადგან მასში არაა გათვალისწინებული რეგონული კომპონენტი და შემოიფარგლება ერთი ან რამოდენიმე დაწესებულებით.

საქართველოში მიმდინარე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა გულისხმობს ამ სფეროს სათანადო საკანონმდებლო უზრუნველყოფას.

1999 წელს გამოქვეყნდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე შეიქმნა 2000-2009 წლებში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმა. ორივე დოკუმენტი განხილული და მონონებულ იქნა საქართველოს მთავრობის, აგრეთვე ჯანდაცვის მსოფლიო

ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიუროს მიერ. დოკუმენტებში ასახულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და მათი რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების წუსხა; განსაზღვრულია ჯანდაცვის პრიორიტეტული მიმართულებები და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ჯანდაცვის სისტემაში არსებული რესურსების გათვალისწინებით.

როგორც ჯანდაცვის პოლიტიკის დოკუმენტში, ისე სტრატეგიულ გეგმაში რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. სახელდობრ, პოლიტიკის დოკუმენტში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტებს შორის, პირველ ადგილზეა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად დასახულ ამოცანებს შორის მოხსენიებულია:

- ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული სამსახურის სისტემის განვითარება;
- სექსობრივი გზით გადადებები დაავადებების პროფილაქტიკა;
- დედათა განათლების დონის ამაღლება;
- პრე და პოსტნატალური დიაგნოსტიკა, გენეტიკური კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა;
- უსაფრთხო მშობიარობის უზრუნველყოფა.

2005 წლიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, რომლის მე-5 თავი შეიცავს მუხლს (მუხლი 11) სამედიცინო დახმარების შესახებ.

ამასთან, საქართველოს მთავრობამ:

- მოიწონა კანონი ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ;
- 2006 წელს ჯანდაცვაზე და სოციალურ საკითხებზე გამოყოფილი ბიუჯეტი გაზარდა 20%-ით;
- შემუშავა კანონპროექტი რეპროდუქციული ჯანმრთე-

ლობის დამხმარე ტექნოლოგიების შესახებ.

2005 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა კანონი ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან იგი ლიცენზირების სისტემას უფრო ლიბერალურს და ხელმი-საწვდომს ხდის.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო პროგრამებიდან აღსანიშნავია სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა და შიდსის პროფილაქტიკა. ეს პროგრამა სახელწოდებით “ავ ინფექცია/მოდსზე ეროვნული საპასუხო ზომების გაძლიერების მხარდაჭერა ეფექტიანი პროფილაქტიკური და საკონტროლო ღონისძიებების განხორციელებისთვის 2003-2007 წლებში“ დაა-ფინანსა Global Fund-მა.

ამავე დროს, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ამსახველი ინდიკატორები კვლავ არაა დამაკმაყოფილებელია. შობადობის დაბალი მაჩვენებელი, აბორტის, როგორც შობადობის რეგული-რების ყველაზე გავრცელებული საშუალების სიხშირე და კონ-ტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების გამოყენების დაბალი დონე აჩვენებს, რომ მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვის ინფორმა-ციასა და მომსახურებაზე არ არის დაკმაყოფილებული. ასევე შეზღუდულია რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვა სერვი-სების ხელმისაწვდომობა; განსაკუთრებით ეს ეხება სოფლის მოსახლეობას, რომლებსაც ფინანსური, გეოგრაფიული და ინ-ფორმაციული ბარიერები უზღუდავენ ამ სერვისების მოძიებასა და გამოყენებას.

საქართველოში ჯანდაცვის სექტორის და მისი დაფინანსე-ბის მასშტაბური რეფორმის კონტექსტში არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით ჩოლეფორმ (უშAID) პროექტის ფარ-გლებში გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

1. შეიქმნა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნულ პო-ლიტიკაზე მომუშავე ჯგუფი, რომელშიც შედიან ჯანდაცვის, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, პროფესიული ასოციაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციე-ბის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენ-ლები. ამ ჯგუფმა ჩაატარა არსებული პოლიტიკის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო დოკუმენტებთან და კონვენციებთან (ათასწლეულის განვითარების მიზნები; ქაიროს კონფერენციის სამოქმედო გეგმა; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რე-პროდუქციული ჯანმრთელობის სტრატეგია). ანალიზის შედე-გად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები რეპროდუქციუ-ლი ჯანდაცვის შემდგომი პოლიტიკისთვის რეკომენდაციების

შემუშავების საფუძველი გახდა. პოლიტიკის დოკუმენტის მო-ნახაზის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა რეგიონალური თანამონაწილეების აზრი; (ეს კომპონენტი ძირითადად შედგება რეგიონალური შეხვედრების და სემინარების სერიისაგან. შეხვე-დრებში მონაწილეობდნენ სამედიცინო სფეროს მუშაკები, მათი კლიენტები, პოლიტიკოსები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები).

2. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობი ლო-ნისძიებების მხარდაჭერა და ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება/გავრცელება.

3. ეროვნული ანგარიშის მომზადება და მისი ანალიზი რე-სურსების გადანაწილების გაუმჯობესების მიზნით.

5.2. საზოგადოებრივი საქმის აქტიურობის ინტენსივობა დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 2

- საზოგადოებრივ სექტორში შექმნილია ქსელები, რომლე-ბიც მუშაობენ ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული სისტემის განვითარების მიმართულებით. თუმცა ამ მუ-შაობაში ხშირად არ არის გათვალისწინებული რეგიონუ-ლი კომპონენტი.
- თანამშრომლობა საზოგადოებრივ და სამთავრობო სე-ქტორს შორის სუსტია და ინიციატივა თითქმის ყოველ-თვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოდის.
- საზოგადოებრივ სექტორში მოქმედებს სამუშაო ჯგუფი სამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. აღნიშნუ-ლი ჯგუფი მუშაობს საქართველოში ქაიროს კონფერენ-ციის სამოქმედო გეგმისა და ათასწლეულის განვითარე-ბის მიზნების განხორციელების საკითხებზე.
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის მხარდაჭერა ყველა დონეზე (საზოგადოებრივ, სამთავრობო, მედია და ა.შ) ძალიან სუსტია.
- უმეტეს შემთხვევებში პროექტებს ცალკეული ორგანიზა-ციები დამოუკიდებლად ან 2-3 ორგანიზაციის პარტნიო-რული თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებენ; საზოგადოებრივ სექტორში იგრძნობა გამჭვრევლობის დეფიციტი, არ არსებობს კოორდინირებული და მიზანმი-მართული თანამშრომლობა, რის შედეგადაც ინფორმაცია ხშირად იკარგება და ვერ აღწევს ადრესატამდე.

საზოგადოებრივი სექტორის ინტერესი დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საკითხების მიმართ საკმაოდ დიდია, რაც დასტურდება ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტენსიური საქმიანობით.

2005 წლის 19 ოქტომბერს, ქ. თბილისში ასოციაცია „ჰერა XXI“-მა, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და ევროკავშირის ხელშეწყობით ჩატარა კონფერენცია თემაზე: კაიროს კონფერენციის სამოქმედო გეგმისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელება საქართველოში. კონფერენციის დასკვნით ეტაპზე მოეწყო ინტერაქტიული სესია და შედეგად, სამოქალაქო და სამთავრობო სექტორების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა ქსელი, რომელიც იმუშავებს საქართველოში კაიროს კონფერენციის სამოქმედო გეგმისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების საკითხებზე.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ოჯახის დაგეგმვა/კონტრაცეფციის, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო მიმართულებით განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია ასოციაცია „ჰერა XXI“-ის სამწლიანი პროექტი „ჯანმრთელი თაობა“. პროექტის მიზანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ახალგაზრდების თვითშეგნების ამაღლება და კვალიფიცირებული კონსულტაციური მომსახურების უზრუნველყოფა.

„ჰერა XXI“-მა და საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია ერთობლივად მოამზადა გამოცემა უსაფრთხო აბორტზე, რომელიც ქ. თბილისის ქალთა კონსულტაციებში დარიგდა.

2006 წელს ასოციაცია „ჰერა XXI“-მა ქ. ქუთაისის მე-2-ე სამშობიარო სახლის ბაზაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიების და სტანდარტების თანახმად (IPPF Quality of Care concept, WHO `Safe Abortion Guidelines`, IPAS `Framework of Quality of Abortion Care) ჩატარა აბორტის ხარისხიან მომსახურებაზე „სწრაფი შესწავლა“.

დედების უსაფრთხოების მიმართულებით მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებს ასევე ფონდი „კურაცი“. 2000-2003 წლებში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის რეგიონალური ოფისის (შუბAID/ჩაუცასუს) ხელშეწყობით განხორციელდა პროექტი „საქართველოს უსაფრთხო დედობის ინიციატივა“. პროექტის მიზანი იყო დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის რეგიონალური სამსახურების ინტეგრაციის გაძლიერებით დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება. პროექტი განხორციელდა თელავისა და საგარეჯოს რაიონებში. პროექტის

ფარგლებში ქართველ ექსპერტთა 32 კაცთანა ჯგუფმა შეიმუშავა საქართველოში პირველი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ზედამხედველობის მეთოდური რეკომენდაციები, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის ბრძანებით სავალდებულო გახდა ყველა სამშობიარო სახლისა და ქალთა კონსულტაციის სამედიცინო პერსონალისათვის.

აღსანიშნავია, ქუთაისის ქალთა ჯანმრთელობის ცენტრისა და ქუთაისის №2 სამშობიარო სახლის მიერ დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული საქმიანობა. სამშობიარო სახლი ახორციელებს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამას (სამეანო დახმარებისა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტით).

ქალთა ჯანმრთელობის ცენტრის ბაზაზე განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- 2002-2004 წწ – სუზენ კომენის მკერდის კიბოს ფონდი – „სარძევე ჯირკვლის კიბოს პროფილაქტიკის პროგრამა იმერეთის რეგიონში“;
- 2003-2004 წწ - საშვილოსნოს ყელის კიბოს პროფილაქტიკის ალიანსი – „საშვილოსნოს ყელის კიბოს პროფილაქტიკის ინიციატივა ქუთაისში“;
- 2005-2006 წწ – ჯონ სნოუს სწავლებისა და კვლევის ინსტიტუტი – „სარძევე ჯირკვლის კიბოს პროფილაქტიკის პროგრამა ქუთაისში“ და სხვა.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულია ასოციაცია „ჰერა XXI“-ის, კორეფორმ-ჯორჯიას, ფონდის „კურაცი“, ქუთაისის „ქალთა ცენტრის“, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

ლალი ბეიტრიშვილი, კორეფორმ-ჯორჯია; თენგიზ ასათიანი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია; დოდო შელია, ქუთაისის „ქალთა ცენტრი“; ნინო წულუისკირი, ასოციაცია „ჰერა XXI“; ზურაბ დანელია, აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე სოციალურ საკითხებში.





მიზანი №6: აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა

6.1. მთავრობის ქვეყნის ინტენსივობა აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 2.4

- მთავრობას აივ/შიდსთან და მალარიასთან ბრძოლის მიმართულებით შემუშავებული აქვს სტრატეგია/გეგმა.
- აივ/შიდსის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომისია გაუქმდა. ამ ეტაპზე მოქმედებს მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურების, საზოგადოებრივი და

საერთაშორისო ორგანიზაციების პარტნიორობის მექანიზმი – ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ჩჩმ), რომელიც გლობალური ფონდის პროექტების კოორდინაციისა და მათ შესრულებაზე მეთვალყურეობის მიზნით შეიქმნა.

- მალარიის საკითხებს კურირებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.
- მთავრობა აფინანსებს სახელმწიფო პროგრამებს აივ/შიდსთან და მალარიასთან ბრძოლის მიზნით.
- მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამებს აფინანსებენ ასევე საერთაშორისო დონორები. აივ/

შიდსისა და მალარიასთან ბრძოლის მიმართულე-
ბით სამუშაოების დიდი ნაწილი ხორციელდება ამ
პროგრამების ფარგლებში.

**6.1.1. ანოქსიის გავრცელების შეჩერება
და უპროტეინის დაწყება**

სამთავრობო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა
აივ/შიდსის წინააღმდეგ ერთობლივად შეიმუშავეს ერო-
ვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა (2003-2007წწ.).
სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების
ნაწილი ხორციელდება მთავრობის მიერ დაფინანსებუ-
ლი შიდსის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის
ფარგლებში. სახელმწიფო პროგრამის შესრულებაზე პა-
სუხისმგებელია „ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და
კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული
ცენტრი“.

გლობალურმა ფონდმა დააფინანსა საქართველოს
მთავრობის მიერ წარდგენილი პროგრამა სახელწოდებით
„აივ ინფექცია/შიდსზე ეროვნული საპასუხო ზომების
გაძლიერების მხარდაჭერა ეფექტიანი პროფილაქტიკური
და საკონტროლო ღონისძიებების განხორციელებისათვის
2003-2007 წლებში“. ეს პროგრამა ფარავს იმ ღონისძიე-
ბებს, რასაც სახელმწიფო პროგრამა ვერ წვდება.

გლობალური ფონდის პროექტი სამთავრობო სტრუ-
ქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების
მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება, რომელშიც
საზოგადოებრივ სექტორთან ერთად ჩართულები არიან
სხვადასხვა სამთავრობო სამედიცინო დაწესებულებები:
ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუ-
ნოლოგიის ს/კ ცენტრი, ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი,
თბილისის კანისა და ვენსეულებათა ინსტიტუტი და
სხვა.

გლობალური ფონდის პროექტების კოორდინაციისა
და მათ შესრულებაზე მეთვალყურეობის მიზნით შექმნი-
ლია სამთავრობო სტრუქტურების, საზოგადოებრივი და
საერთაშორისო ორგანიზაციების პარტნიორობის მექა-
ნიზმი – საკოორდინაციო საბჭო (ჩჩმ).

გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში შიდსით
დაავადებულების მკურნალობა ანტირეტროვირუსული
უფასო პრეპარატებით არის უზრუნველყოფილი. ყვე-
ლა ფეხმძიმე ქალს აქვს შესაძლებლობა უფასოდ ჩაი-
ტაროს ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება
აივ/შიდსზე, ხოლო აივ პოზიტიური ფეხმძიმეებისათვის
უზრუნველყოფილია ანტირეტროვირუსული მედიკამენ-
ტებით მკურნალობა. აივ

პოზიტიური დედის ახალშობილის სტატუსის სახელ-
მწიფო პროგრამის ფარგლებში დგინდება. გლობალური
ფონდის პროექტის ფარგლებში მაღალი რისკის ჯგუფის
წარმომადგენლებში (კომერციული სექსის მუშაკები, ჰო-
მოსექსუალები, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარ-
ებლები) ხორციელდება საინფორმაციო, საგანმანათლე-
ბლო სამუშაოები. მათთვის ხელმისაწვდომია უფასო და
ანონიმური კონსულტაციები და აივ/შიდსზე ტესტირება.
როგორც სახელმწიფო პროგრამის, ასევე გლობალური
ფონდის პროექტის ფარგლებში საზოგადოების სხვა-
დასხვა ჯგუფებთან მიმდინარეობს საგანმანათლებლო
მუშაობა ინფორმირებულობის გაზრდისა და რისკის შემ-
ცირების მიზნით. გლობალური ფონდის პროექტის ფარ-
გლებში განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულია
სასკოლო პროგრამა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ,
რომელიც ასევე მოიცავს შიდსის საკითხებს. ამჟამად
მიმდინარეობს პროგრამის პილოტირება თბილისის სკო-
ლებში.

2009 წლისათვის იგეგმება გლობალური ფონდის მიერ
მხარდაჭერილი ღონისძიებების სახელმწიფო პროგრამით
ჩანაცვლება.

ამ დროისათვის უკვე აღარ მოქმედებს სამთავრობო
კომისია, რომელიც კოორდინაციას უწევს აივ/შიდსის
საკითხებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისი კომი-
სიის შექმნა 2006 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

1995 წლიდან ძალაშია საქართველოს კანონი შიდსის
შესახებ. თუმცა კანონი ფორსირებულად იქნა მიღებული
და მისი შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართუ-
ლობა არ იყო უზრუნველყოფილი.

სახელმწიფოს მიერ კანონით აღებული ინფიცირე-
ბულთა სოციალური დაცვის ვალდებულება არ სრულ-

დება (თავი 5: მუხლი 8, \$5, \$6, \$8.) არ გამოცემულა კანონქვემდებარე აქტები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ კანონის ცხოვრებაში გატარებას. კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიებებზე ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი თანხები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალდებულებს მედიცინის მუშაკებს (თავი V მუხლი 12, \$1) სამედიცინო მომსახურება გაუწიონ შიდსით ინფიცირებულებს, არის შემთხვევები, როდესაც ინფიცირებულებს უარს ეუბნებიან სამედიცინო მომსახურებაზე.

6.1.2. ამოცანა 13: მაღარიისა და სხვა ძირითადი დაავადებების გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება 2015 წლისათვის

საქართველოში აღინიშნება მაღარიით დაავადების შემთხვევათა კლების ტენდენცია: 2003 წელს აღრიცხული იყო 316 შემთხვევა, 2004 წელს –257, ხოლო 2005 წელს - 155 შემთხვევა.

მაღარიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შექმნილია და ხორციელდება მაღარიის კონტროლისა და პროფილაქტიკის 2002 – 2006 წლების სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- ეპიდემიის კონტროლის გაძლიერება ჯანდაცვის დაწესებულებებში;
- მაღარიის ეპიდემიის დასაწყობების გაძლიერება;
- სამკურნალო პრეპარატებით და ლაბორატორიული აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
- დაავადების მართვაში მონაწილე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულებაა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

მაღარიის წინააღმდეგ 2004 წლიდან დაფინანსებულია და ხორციელდება გლობალურ ფონდის 3-წლიანი პროგრამა სახელწოდებით „მაღარიის პრევენციისა და

კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით ეროვნული გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში“. პროგრამას ახორციელებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

პროგრამა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- მაღარიის კონტროლის სახელმწიფო პროგრამის გაფართოება;
- მაღარიით დაავადებული პაციენტების დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- მაღარიის გადამტანებზე სრულყოფილი კონტროლის დაწესება;
- მაღარიაზე მეთვალყურეობის მექანიზმის სრულყოფა;
- რაიონებს შორის კოორდინაციის გაძლიერება და საინფორმაციო ქსელის შექმნა;
- მოსახლეობის ინფორმირებულობისა და მონაწილეობის გაზრდა აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში;
- საზოგადოებრივი სექტორში არც ერთი ორგანიზაცია არ მუშაობს მაღარიის პრობლემაზე, მედიაც იშვიათად აშუქებს ამ თემას, რაც აიხსნება დაავადების ლოკალური ხასიათითა და ქვეყანაში გავრცელებით დაბალი დონით.

6.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა აივ/შიდსთან, მაღარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 1

- საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდ დაინტერესებას იჩენენ აივ/შიდსის საკითხების მიმართ და ახორციელებენ ხანგრძლივ, მიზანმიმართულ პროექტებს. ამას განაპირობებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისთვის აივ/შიდსის პრობლემის პროირიტეტულობა.
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ინიციატივით შექმნილია აივ/შიდსის საკითხებზე მომუშა-

ავე რამდენიმე კოალიცია და ქსელი.

- ამ ქსელების ფარგლებში ხდება ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.
- მალარიის პრობლემის მიმართ საზოგადოებრივი სექტორი არ იჩენს არანაირ ინტერესს, რასაც განაპირობებს დაავადების ლოკალური ხასიათი და დაბალი გავრცელება.

საზოგადოებრივი სექტორი აქტიურად არის ჩართული შიდსის პრობლემის გადაჭრაში, რისი ინიციატივაც ძირითადად გარედან მოდის და განპირობებულია საერთაშორისო დონორების დიდი ინტერესით შიდსის პრობლემის მიმართ.

სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით, საერთაშორისო დონორების ფინანსური მხარდაჭერით, როგორც ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ისე სხვადასხვა კოალიციების მიერ ხორციელდება ხანგრძლივი და მიზანმიმართული პროექტები. დონორები არიან: შიდსთან, მალარიასა და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ფონდი (GFATM), გაეროს სააგენტოები (WHO, UNAIDS, UNICEF, UNDP, UNFPA, SCAD), CORAID, USAID, World Vision International, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ და სხვა.

საზოგადოებრივი სექტორის საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: პრევენციული საქმიანობა, ინფიცირებულთა დაცვა და დახმარება.

გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში შექმნილია საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფი ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით. ჯგუფმა ჩაატარა 3 სემინარი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა შიდსის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები.

საზოგადოებრივი სექტორი ასევე აქტიურ პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს მაღალი რისკის ჯგუფებთან, კერძოდ, კომერციულ სექსის მუშაკებთან და ჰომოსექსუალ მამაკაცებთან. აივ/შიდსის პრევენციის საკითხებზე ასოციაცია „თანადგომა“ მუშაობს. ამ მიზნით

ფოკუს-ჯგუფებთან თბილისში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში სავსელ საგანმანათლებლო სამუშაოები ტარდება. მათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები კონდომებთან ერთად უფასოდ ურიგდებათ.

ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით, ასოციაცია „თანადგომა“, კავშირი „იმედი“, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“, „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დაზარალებულ პირთა თანადგომა“, „ახალი გზა“, „ურანტი“, „ახალგაზრდული ალიანსი“, „ორდუ“, „ქსენონი“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ახორციელებენ პროგრამებს.

ახალგაზრდებში აივ/შიდსის პრევენციის მიმართულებით მუშაობს ასევე ბავშვთა ფედერაცია, „იუვენკო“, „თანადგომა“, „ბემონი“, „ახალი გზა“. საქართველოს რიგ

ქალაქებში – თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, მცხეთა, ბორჯომი - დაარსებულია ნებაყოფლობითი კონსულტაციებისა და ტესტირების ცენტრები; შეიქმნა და ვრცელდება საინფორმაციო საგანმანათლებლო მასალები, მოეწყო შიდსის თემაზე გადაღებული ფილმების ახალგაზრდული ფესტივალი და სხვა. გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში „იუვენკო“-მ ახალგაზრდებისათვის გახსნა რადიო „ახალი ტალღა“, რომლის ეთერშიც რეგულარულად გადის გადაცემები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. შიდსის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ საგანმანათლებლო მიზნებით უფასოდ ისარგებლონ „ახალი ტალღის“ ეთერით.

დედიდან შვილზე ვირუსის გადაცემის პრევენციის მიმართულებით მუშაობს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია, რომელიც აივ/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტაციებსა და ტესტირებას უტარებს ორსულებს.

შიდსით დაავადებულთა მხარდაჭერაზე მუშაობენ შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი, საქართველოს+ჯგუფი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ მიზნით თბილისში, ბათუმსა და ზუგდიდში დაარსდა და ფუნქციონირებს თვითდახმარების საკონსულტაციო ცენტრები.

აივ/შიდსის მიმართულებაზე შექმნილია რამდენიმე

კოალიცია. 2002 წელს ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვების ინიციატივით ჩამოყალიბდა სგგი/აივ/შიდსზე მომუშავე ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფი. მასში გაერთიანებულია 30-ზე მეტი სამთავრობო, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია.

2006 წელს შეიქმნა ასევე ზიანის შემცირების ქსელი. ქსელში გაერთიანებული არიან ნარკომანიის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს აივ/შიდსის, ვირუსული ჰეპატიტების და სისხლით გადამდები სხვა ინფექციების გავრცელების შემცირება.

გლობალური ფონდის პროექტების კოორდინაცია-სა და მათ შესრულებას მეთვალყურეობს საკოორდინაციო საბჭო (CCM). ზემოთ აღნიშნული კოალიციების ფარგლებში ორგანიზაციები ერთმანეთს ინფორმაცია-სა და გამოცდილებას უზიარებენ, გეგმავენ ერთობლივ პროექტებსა და ღონისძიებებს.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული მასალები:

- „ურანტი“;
- საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“;
- „ალტერნატივა ჯოჯია“;
- „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დაზარალებულ პირთა თანადგომა“;
- შიდსით დაზარალებულთა დახმარების ფონდი;
- „საქართველოს + ჯგუფი“;
- „იუვენკო“;
- „ახალი გზა“;
- „ბავშვთა ფედერაცია“;
- ანტინარკოტიკული მედია კლუბი;
- დაავადებათა კონტროლის ცენტრი.

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

- დალი უშარიძე, „ახალი გზა“;
- ზურა სიხარულიძე, ცენტრი „ურანტი“;
- ქეთევან ჭელიძე, ასოციაცია „თანადგომა“;

თინათინ ზარდიაშვილი, World Vision;
 თეა ოსეფაშვილი, საქართველოს ბავშვთა ფედერაცია;
 მერაბ იოსავა, დაავადებების კონტროლის ცენტრი, მალარიის პროგრამის კოორდინატორი.





მიზანი №7: ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა

7.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 0,9

- 2005 წელს დამტკიცდა ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია.
- არაეფექტურად მიმდინარეობს სატყეო სექტორის განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება. მთავრობამ შეიმუშავა სატყეო სექტორის სამთავრობო რეგულირების რეფორმის პროექტი, რომელიც შესაბამისობაში არ არის ამჟამად შემუშავების სტადიაში მყოფ პოლიტიკის დოკუმენტთან.
- ენერგოეფექტურობის ზრდა საერთოდ მოხსნილია მთავრობის პრიორიტეტების ნუსხიდან. მთავრობის მიერ კიოტოს ოქმის ფარგლებში ადგილი აქვს თანხების მოზიდვის გარკვეულ მცდელობებს.
- ბუნებრივი რესურსების დაცვის მიმართულებით სახელმწიფო დაფინანსება არ არსებობს. ამ სფეროში მთავრობის ინიციატივითა და დონორების მხარდაჭერით ხორციელდება პროექტები, რომელთა შედეგი ჯერ-ჯერობით სუსტია.
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს განყოფილებები, რომელთაც ევალებათ ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის შემცირება.

დაციის შემცირება. თუმცა დაფინანსების სიმცირის, კადრების არასაკმარისი კვალიფიკაციის და პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობის გამო მათი საქმიანობა არაეფექტურია.

- სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის სტრატეგია არ არსებობს, თუმცა მთავრობა პრობლემას აღიარებს და მის გადაჭრას ცდილობს. ამ მიზნით გამოიყოფა საბიუჯეტო თანხები და ასევე არის დონორებისაგან თანხების მოზიდვის მცდელობა. რაიონებში მიმდინარეობს სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია, თუმცა ეფექტურობა ზომიერია.
- შემუშავებულია ნარჩენების მარეგულირებელი ორი კანონპროექტი, მაგრამ ჯერ არც ერთი არ დამტკიცებულია. სანიტარული მომსახურების გაუმჯობესების სტრატეგია არ არსებობს. ეს პრობლემა აღიარებულია სანაპირო ზოლსა და დედაქალაქში, თუმცა მის გადასაჭრელად საჭირო თანხები არ გამოიყოფა. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ამ მიზნით თანხების მოზიდვას დონორებისაგან ცდილობს.
- სოციალური საცხოვრებლის კომპონენტის განვითარებისათვის სტრატეგიის შემუშავებას მთავრობა არც კი გეგმავს. ასევე არ არსებობს სტრუქტურა, რომელსაც დაევალებოდა ამ კომპონენტზე ზრუნვა.

2000 წელს ათასწლეულის მიზნების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება 2015 წლამდე გადაჭრას რიგი ამოცანები, რაც რეალურს გახდის მე-7 მიზანთან - ეკოლოგიური მდგრადობის მიღწევასთან მიახლოებას. თუმცა მიზნის სამივე ამოცანასთან მიმართებაში შეიმჩნევა ნეგატიური ტენდენცია. ცალკეულ მიმართულებებში ადგილი აქვს მხოლოდ უმნიშვნელო წინსვლას, თუმცა ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ 2000 წლიდან მოყოლებული საქართველო დაშორდა დასახულ მიზანს.

7.1.1. ამოცანა 14: მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში და გუნებარივი რესურსების შემცირების (ღებრაღაციის) ტენდენციის შეჩერება

ტყით დაფარული ტერიტორიების წილი ქვეყნის საერთო ფართობში

საქართველოში ამ ინდიკატორის მიხედვით ტენდენცია ნეგატიურია, რაც გამოიხატება ტყის მასივების შემცირებით. ეს გამოწვეულია ტყით (კანონიერი და უკანონო) სარგებლობის მაღალი დონით. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტყის ფართობის კლებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი 1990 წლის 40%-იან მაჩვენებელთან შედარებით. (ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ტყის მასივი დღესდღეობით 32%-ს შეადგენს ანუ შემცირებულია 8%-ით).

ნეგატიური ტენდენციის ძირითად და განზოგადებულ მიზეზებად შეიძლება დასახელდეს:

- სახელმწიფოში სატყეო პოლიტიკის არ არსებობა;
- მდგრადი გამოყენების პრინციპებზე აგებული სატყეო კანონმდებლობის დაბალი ხარისხი;
- თანამედროვე მეთოდებით ტყის მონიტორინგის სისტემის არ არსებობა, რაც ხელს უშლის ამ რესურსის რაციონალურად გამოყენების დაგეგმვას;
- კანონის აღსრულების დაბალი დონე და კორუფცია.

სიტუაციის გაჯანსაღების პერსპექტივას ამცირებს ისიც, რომ საქართველოს დღემდე არ გააჩნია სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით შექმნილი დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი

ამ ინდიკატორის მიხედვით რთულია იმის შეფასება საქართველო დაუახლოვდა თუ არა დასახულ მიზანს, ვინაიდან სახელმწიფოს არ აქვს დეკლარირებული პოზიცია იმის თაობაზე, თუ ქვეყნის ფართობის რა ნაწილი უნდა გამოცხადდეს 2015 წლისთვის დაცულ ტერიტორიად.

რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით ტენდენცია შეიძლება დადებითად ჩაითვალოს. კერძოდ, 2000 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი (2692 კმ²) ქვეყნის ტერიტორიასთან მიმართებაში (დაახ. 70 000 კმ²) 3,8%-ს შეადგენდა; 2005 წლის მდგომარეობით დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 3939 კმ²-მდე გაიზარდა, რაც საქართველოს ტერიტორიის 5,6%-ს შეადგენს (ზრდა 1,8 %-ით).

ხარისხობრივი თვალსაზრისით სიტუაცია უაღრესად მძიმეა. დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი უკიდურესად დაბალ დონეზეა (სახეზეა ინტენსიური ბრაკონიერობა და ველური ბუნების მრავალმხრივი დესტრუქცია). შესაბამისად, იგი ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. თუ ასე გაგრძელდა, 2015 წლისთვის დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი იქნება გაზრდილი, მაგრამ დასაცავი იქ უკვე არაფერი დარჩება.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილებით დამტკიცდა “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა”.

ამ გეგმის შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნება მისი დებულებები გათვალისწინებული რეფორმის კონცეფციის, განვითარების პროექტების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის დროს, ასევე ამ გეგმის ინტეგრირების ხარისხზე სხვა დოკუმენტებში (მაგ. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ათასწლეულის მიზნები და სხვ.).

ასევე ამ გეგმის განხორციელება პირველ რიგში დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე და დონორებზე.

აღნიშნული გეგმის განხორციელებაში მცირე პროგრესი შეიმჩნევა. გადაიდა რიგი ნაბიჯები: შემუშავდა გადაშენების წინაშე მყოფ სახეობათა წითელი ნუსხა და მზადდება პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება, შეიქმნა გარემოს დაცვის ინსპექცია, ეკოლოგიურ თემატიკაზე სარეკლამო რგოლები გადის სატელევიზიო ეთერით.

დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში მკვეთრად უარყოფითი შეფასება უნდა მიეცეს მთავრობის ახალ ინიციატივას, რომელიც I-IV კატეგორიის დაცული ტერიტორიების კერძო მფლობელობაში შესაძლო გადაცემას გულისხმობს. ამ საკითხზე უარყოფითი აზრი გამოთქვეს ექსპერტებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ენერჯის მოხმარება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთეულზე და CO₂ ემისია ერთ სულ მოსახლეზე

მშპ-ს ერთეულის წარმოებისთვის მოხმარებული ენერჯის ოდენობის (ენერჯინტენსივობა) შემცირების დინამიკა პოზიტიურია. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი, სამწუხაროდ, არა ენერჯოეფექტურობის ამაღლებაა, არამედ ერთის მხრივ სტატისტიკური ინფორმაციის სიზუსტის დაბალი ხარისხი და მეორეს მხრივ, ენერჯომატარებლებზე ფასების ზრდის გამო მათზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, სამრეწველო სექტორის, როგორც ძირითადი ენერჯომომხმარებლის, ფუნქციის დაკარგვა.

	1995	2003
ენერჯის მოხმარება მშპ-ს ერთეულზე	1.37	0.73
CO ₂ ემისია ერთ სულ მოსახლეზე	-	0.56

დღესდღეობით საქართველოს არათუ არ გააჩნია ენერჯინტენსივობის შემცირების სახელმწიფო გეგმა, არამედ სახელმწიფოს პრაქტიკულად არ აქვს გაცნობიერებული

რებული მისი, როგორც მაკროეკონომიკური პარამეტრის მნიშვნელობა.

7.1.2. ამოცანა 15: 2015 წლისათვის იმ მოსახლეობის წილის განახევრება, ვისაც სტაბილურად არ მიუწვდება ხელი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალზე

მოსახლეობის წილი, რომელსაც სტაბილურად მიუწვდება ხელი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელ წყალზე

2000 წლიდან ქვეყანა დაშორდა ზემოთ მითითებული მიზნის მიღწევას, ვინაიდან ბოლო დროს არ განხორციელებულა არცერთი მასშტაბური ღონისძიება. შედეგად, ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა კიდევ უფრო დეგრადირდა. ამდენად, დგას სასმელი წყლის დაბინძურების პრობლემა, რაც ინვეს ინვექციური დაავადებების აფეთქებებს.

ხელისუფლებას ამ სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტი არ შეუქმნია. შემუშავებულია მხოლოდ “წყალმომარაგების სექტორის ნაციონალური ფინანსური სტრატეგიის” პროექტი, რომელიც ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული.

ის მცირე მასშტაბური სამუშაოებიც კი, რომელიც დღესდღეობით წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარეობს, არ ატარებს გეგმაზომიერ ხასიათს და მათი ეფექტურობა მცირეა.

გაუმჯობესებული სანიტარიული მომსახურების მიმღები მოსახლეობის წილი

2000 წლის შემდეგ სანიტარიული მომსახურების თვალსაზრისით მდგომარეობა პრაქტიკულად არ შეცვლილა და საგანგაშოდ დაბალ დონეზე დარჩა. ეს ნეგატიური ტენდენცია უკავშირდება ნარჩენების არასწორ მართვას და სახიფათო ნარჩენების (ამ სახის ნარჩენების ყველაზე მასშტაბური წარმომქმნელია BTC co) დაგროვების მაჩვენებლის ზრდას. სანიტარიის კონტროლის სფეროში მი-

მდინარეობს გაუზარებელი და გაუმჭვირვალე რეფორმა, რომლის ფარგლებშიც ჯერაც არ შექმნილა უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ნარჩენების მართვის სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის ნაგავსაყარ პოლიგონებზე წესების დაცვის კონტროლზე.

საქართველოს არ გააჩნია ნარჩენების მართვის კუთხით რაიმე სახის სტრატეგიული დოკუმენტი ან გეგმა და არც მათ შემუშავებაზე მიმდინარეობს მუშაობა.

სოციალური საცხოვრებლის განვითარება

2000 წლის შემდეგ ამ მიმართულებით წინსვლა არ არის, ვინაიდან მთავრობას არ შეუძლებია სოციალური საცხოვრებლის განვითარების სტრატეგია/გეგმა.

2006 წელს ცალკეული სპეციალისტების ინიციატივით დაიწყო ქვეყნის საბინაო ფონდის მართვის კონცეფციის შემუშავება. აღნიშნული ინიციატივა მხარდაჭერილია UNECE-ის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

7.2. საზოგადოებრივი საქმის აქტიურობის ინტენსივობა ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) — 0.6

- საზოგადოებრივი სექტორი დიდ ყურადღებას იჩენს ტყის დაცვის საკითხების მიმართ, თუმცა ამ მიზნით ორგანიზაციული ქსელების შექმნის მცდელობები ჯერ საწყის სტადიაშია, საზოგადოებრივ და სამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობა კი ეპიზოდური და სუსტია.
- ბიომრავალფეროვნების სფეროზე ორიენტირებული რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია ახორციელებს დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს. არსებობს სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქსელების ჩამოყალიბების გარკვეული გამოცდილება.
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურობენ

ენერგოეფექტურობის საკითხებში. მიმდინარეობს პილოტური პროექტები, თუმცა მათი ეფექტურობა დაბალია. საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა სექტორის შიგნით და მთავრობასთან ძალზე სუსტია.

- რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა მუშაობს სასამელი წყლის და სანიტარიული მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე. მთავრობასთან თანამშრომლობის ცალკეული მაგალითები არსებობს, თუმცა ისინი არასტაბილურ ხასიათს ატარებენ და შედეგი მცირეა.
- ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუშაობენ სოციალური საცხოვრებლის საკითხებზე, თუმცა ზოგადად დაინტერესების ხარისხი დაბალია.

ტყით დაფარული ტერიტორიების წილი ქვეყნის საერთო ფართობში

საზოგადოებრივი სექტორის ინტერესი მოცემული მიზნის მიღწევისადმი საკმაოდ მაღალია. ბევრი ორგანიზაციაა ჩართული პროექტის “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია სახელმწიფო ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმასთან დაკავშირებით“ განხილვაში. სამინისტროს ამ დოკუმენტმა უარყოფითი შეფასება დაიმსახურა ექსპერტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან.

ამ ამოცანის შესასრულებლად ჯერ არ არის შექმნილი მიზნობრივი ორგანიზაციები/კოალიციები/ქსელები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოვიდნენ რამდენიმე ინიციატივით, რომელთა განხორციელებასაც ხელს უშლის ხელისუფლებისა და დონორთა პასიურობა.

ქვეყანაში ხორციელდება სატყეო სექტორის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით), რომელიც არ უქმნის სამოქალაქო საზოგადოებას თანამონაწილეობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ზოგადად, სატყეო სფეროში სექტორებს შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით არაა დამაკმაყოფილებელი სიტუაცია შექმნილი.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით შექმნილი დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი

საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ჩართულია შესაბამისი სტრატეგიით განსაზღვრული პროექტების განხორციელებაში. თუმცა მცირე ნაწილი მონაწილეობს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის განხორციელებაში (მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით), რომლის მიზანი პირდაპირ კავშირშია დაცული ტერიტორიების ინდიკატორთან.

ენერჯის მოხმარება მშპ ერთეულზე და CO₂ ემისია ერთ სულ მოსახლეზე

საზოგადოებრივი სექტორის ინტერესი ამ მიმართულებით ძირითადად (ორიოდე გამონაკლისის გარდა) ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. არსებობს რამოდენიმე ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ამ თემაზე სხვადასხვა საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა ფარგლებში. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა სექტორებთან თანამშრომლობა მყიდვია, ერთის მხრივ საზოგადოებრივი სექტორის სისუსტისა და მეორეს მხრივ, სამიზნე ჯგუფში არასათანადო დაინტერესების გამო.

მოსახლეობის წილი, რომელთაც სტაბილურად მიუწვდება ხელი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელ წყალზე

ცალკეული ორგანიზაციები მუშაობენ ამ მიზნის შესრულების მიმართულებით. შექმნილია კოალიცია „მტკვარ-არაქსი“.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების იჩენენ მრავალმხრივ ინიციატივებს, თუმცა მათი უმრავლესობა ვერ ხორციელდება, რადგანაც დონორი ორგანიზაციების უმრავლესობის ინტერესი ამ სფეროში პროექტების დაფინანსებისადმი უაღრესად დაბალია. სექტორებს შორის თანამშრომლობა ჩანასახის სტადიაზეა. კოალიცია “მტკვარ-არაქსი” გამოვიდა სექტორებს შორის ფართო მასშტაბიანი დიალოგის დაწყების ინიციატივით, რომლის ფარგლებშიც კოალიციაში შეხვედრების I რაუნდი უკვე ჩატარა.

საბინაო სექტორის ჰარმონიზაცია საერთაშორისო მოთხოვნებთან, მუნიციპალური (სოციალური) საცხოვრებლის კომპონენტის განვითარება.

საქართველოს საზოგადოებრივი სექტორის ინტერესი ამ მიზნისადმი საკმაოდ სუსტია. არსებობს რამოდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ნარჩენების მართვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში დონორების დაინტერესება ძალიან დაბალია, საზოგადოებრივი სექტორი მაინც ახერხებს რიგი აქტივობების განხორციელებას. მიმდინარეობს ნარჩენების მართვის სფეროში სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის ეპიზოდური მონიტორინგი, რის შესახებაც საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება. საზოგადოებრივ და სამთავრობო სექტორებს შორის ადგილი აქვს თანამშრომლობის მცდელობებს, რომლებიც, პრაქტიკულად, უშედეგოა.

ანგარიშის მომზადებაში გამოყენებულ იქნა ირაკლი მაჭარაშვილის („ნაკრესი“); ლევან ბუთხუზის („ნაკრესი“), გიორგი ძამუკაშვილის („ადგილის დედა“), ლაშა ჩხარტიშვილის (ასოციაცია „ლობო“), გიორგი აბულაშვილის (ენერგოეფექტურობის ცენტრი) მიერ მოწოდებული მასალები.

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

- ლია თოდუა, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
- ლადო ვარდოსანიძე, ურბანისტა ასოციაცია;
- ნანა ჯანაშია, კავკასიის გარემოს დაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი;
- ლაშა ჩხეტია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა;
- ლაშა ჩხარტიშვილი, ასოციაცია „ლობო“;
- ნელი ვერულავა, ენერგოეფექტურობის ცენტრი.



Antarctica



მიზანი №8: განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება

8.1. მთავრობის ქმედების ინტენსივობა განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბების მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2.

- საქართველოს მთავრობას არ აქვს შემუშავებული კონკრეტული სტრატეგია ან გეგმა საქართველოში განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბების მიმართულებით. თუმცა მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რასაც მონშობს საქართველოს აქტიური საგარეო პოლიტიკა, მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნის წევრობა და თანამშრომლობის სხვა ფორმები.
- ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის წამყვანი პრიორიტეტია. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას. ამ მხრივ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ახალ ინიციატივაში „ევროპული სამეზობლო პოლიტიკა“ განვიხილავთ, რომელიც ქვეყნას ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის სახარბიელო პერსპექტივებს უსახავს.
- საქართველოს მთავრობაში არ არის შექმნილი კონკრეტული ინსტიტუციები, რომლებიც მხოლოდ ამ მიმართულებით იმუშავებდნენ, თუმცა ამ სფეროში სხვადასხვა დონით ჩართულები არიან ცალკეული სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის ძირითად როლს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თამაშობს.
- აგმ-ს მერვე მიზნის მისაღწევად ვალების რესტრუქტურირებისათვის დაკავშირებული მიზანმიმართული პროგრამა მიმდინარეობს, რომლის შედეგად სხვადასხვა.

და ამისა, საქართველოს მთავრობის 2004-2009 წლების სამოქმედო პროგრამაში ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად ტელეკომუნიკაციები სახელდება. გარდა ამისა, განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს ის ლიბერალურ-ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც საქართველოს მთავრობამ ბოლო პერიოდში განახორციელა, მათ შორისაა: გადასახადების მოცულობისა და რაოდენობის სამმაგად შემცირება, ბიზნესის ლიცენზიების და ნებართვების ოდენობის 84%-ით შემცირება, დერეგულაციის პოლიტიკა, რომლითაც საგრძნობლად შემცირდა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სფეროები, გამარტივებული პროცედურები, აქტიური საპრივატიზაციო პროცესი, საბაჟო სისტემაში რეფორმები, 2006 წელს იმპორტზე საბაჟო განაკვეთების მკვეთრი შემცირება და მათი 2008 წლიდან საერთოდ განულება.

- მთავრობის ინიცირებული პროგრამები ძირითადად საბიუჯეტო სახსრებით ხორციელდება, თუმცა ხშირია სხვადასხვა პროგრამებში უცხო სახელმწიფოების დახმარებები და დონორი ორგანიზაციების სუბსიდიები.

საკომუნიკაციო სისტემების ხელმისაწვდომობა: საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად საჭიროა უნივერსალური მომსახურების ჩამოყალიბება, რათა ნებისმიერ ადამიანს ჰქონდეს საშუალება შეუფერხებლად ისარგებლოს საკომუნიკაციო მომსახურებით. ამ მიზნით 2004 წლის სექტემბერში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიაში ჩამოყალიბდა უნივერსალური მომსახურების სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციაა უნივერსალური პროექტების განხორციელება. საქართველოში საკომუნიკაციო სფერო უმთავრესად დიდ ქალაქებსა და და-

სახლებებზეა ორიენტირებული. ეს სისტემები არათანაბრად არის ხელმისაწვდომი ქალაქებსა და სოფლებში. საქართველოს მთავრობის

2004-2009 წლების სამოქმედო პროგრამაში ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად ტელეკომუნიკაციებია აღიარებული. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო ქსელის განვითარებას და ამასთანავე, ათასწლეული განვითარების მერვე მიზნის შესაფასებელი ინდიკატორის გაუმჯობესებას.

2006 წლის 13 ივლისს გერმანიის ქალაქ აქსენში გამართულ ევროპის ქვეყნების ტელეკომუნიკაციების და ფოსტის ადმინისტრაციათა (ჩეჯტ) ასამბლეაზე საქართველო ორგანიზაციის წევრად მიიღეს. ევროპის ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციათა კონფერენცია აერთიანებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 45 ქვეყანას. საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საინფორმაციო და საფოსტო კომუნიკაციების საშუალებების ევროპული სტანდარტებით გადაიარაღებას და მათ თანამოქმედებას ევროპის ქვეყნების ქსელებთან.

CEPT-მა საქართველოს ინტერესებს ლობირება გაუწიოს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირში, გაეროს ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორებიცაა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი და საერთაშორისო საფოსტო კავშირი, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ინფოკომუნიკაციებისა და ფოსტის ქსელების ფუნქციონირება/განვითარებაში.

2006 წელს, 2005 წელთან შედარებით, სწრაფი ტემპებით განვითარდა კავშირგაბმულობის, საფინანსო და მშენებლობის დარგები. შექმნილი დამატებითი ღირებულება 2004 წელთან შედარებით კავშირგაბმულობაში 29.5 პროცენტით, მშენებლობაში 22.3 და საფინანსო შუამავლობაში 52.2 პროცენტით გაიზარდა. ამ საკითხთან დაკავშირებული 2005-2006 წლის მონაცემები ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი. ცხრილში ნაჩვენებია კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები 2004 წლის ბოლოსთვის.

ცხრილი 3 კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები

წლები	სატელეფონო სადგურების რაოდენობა, ერთეული	სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა		ფიჭური კავშირის აბონენტთა რაოდენობა, ათასი
		სულ, ათასი ცალი	აქედან ბინის	
1995	737	626,3	512,5	...
1996	738	567,4	468,0	...
1997	734	581,6	464,9	34,4
1998	518	576,9	433,7	51,5
1999	518	599,0	421,4	72,5
2000	427	572,4	404,6	185,5
2001	409	582,3	394,0	284,0
2002	405	584,0	389,4	412,8
2003	396	588,3	363,8	560,8
2004	...	596,01)	...	800,4
2004 წლის ოქტომბრის მონაცემებით				

როგორც ცხრილიდან ჩანს, სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა იზრდება წლების მიხედვით.

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ბოლო პერიოდში გაიზარდა. დღესდღეობით საქართველოს მომხმარებელს 7 ძირითადი სერვერი ემსახურება. ქართულ პორტალებზე დარეგისტრირებულია 5000-ზე მეტი დომენი, თუმცა რეალურად მოქმედებს მხოლოდ ნახევარი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ძირითადი ამოცანა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განვითარების ხელშეწყობა, საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეულ სეგმენტზე კონკურენციის გაღრმავება და რეგულირების მოქნილი მექანიზმების ამოქმედებაა.

საფინანსო სისტემა: საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარ პრიორიტეტად რჩება ფასების სტაბილურობაზე ორიენტირებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რის შედეგადაც მოხერხდა ინფლაციის ზომიერ ჩარჩოში მოქცევა.

ცხრილი 4 წლიური ინფლაცია (2003-2006 წწ)				
	2003	2004	2005	2006
იანვარი	5,5	5,2	9,3	5,2
თებერვალი	3,7	6,2	9,2	5,1
მარტი	3,4	6,3	9,7	4,6
აპრილი	2,1	5,6	10,3	6,0
მაისი	2,3	5,4	8,9	10,0
ივნისი	4,8	3,6	9,0	11,4
ივლისი	5,0	5,5	6,0	
აგვისტო	5,1	5,0	7,2	
სექტემბერი	5,2	6,0	7,7	
ოქტომბერი	4,7	7,7	7,8	
ნოემბერი	8,6	4,1	7,9	
დეკემბერი	7,0	7,5	6,2	

საქართველოს საბანკო სისტემა ძირითადად შეესაბამება დღევანდელ საბაზრო პირობებს და მზადაა დაეკმაყოფილოს საბანკო მომსახურებით დაინტერესებულ პირთა და კომპანიათა მზარდი მოთხოვნები. პროგრესის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სისტემაში რეფორმების გაგრძელება საჭიროა.

ინფორმაცია კომერციული ბანკების შესახებ (2000-2006 წწ)

სავაჭრო სისტემა: მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირება საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაჭრელად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. საქართველოში ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი მოქმედებს. სწორედ ამიტომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების რიცხვი 125-მდე გაიზარდა. მათი უმეტესობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჭთშ) წევრია. საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 160 ქვეყანასთან უპირატესი ხელშეწყობით სარგებლობს. გარდა ამისა, ქვეყანამ მოიპოვა პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით “ჩშპ+”-ით სარგებლობის უფლება. სისტემა არ ვრცელდება

დღს-ს წევრ არცერთ სხვა ქვეყანაზე. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. “ჩშპ+” ფორმატში ქართველ ექსპორტორებს შესაძლებლობა აქვთ ევროკავშირის ბაზარზე 7200 დასახელების საქონელი ბაჟის გადახდის გარეშე შეიტანონ. ეს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესანიშნავ პერსპექტივას ქმნის. 2005 წლის ცხრა თვის მონაცემებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ “GSP+”-ის შეღავათებით სარგებლობის დამადასტურებელი ფორმა - “A სერტიფიკატი” 445 მენარმე სუბიექტზე გასცა.

ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ვაჭრობაში რაიმე სახის შეზღუდვას რაოდენობრივი ან სალიცენზიო თვალსაზრისით. საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია და აქედან გამომდინარე, ამ 146 ქვეყანასთან ვაჭრობა „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN) საფუძველზე ხორციელდება. ათასწლეულის გამოწვევის მერვე მიზნის მიღწევისაკენ გადადმული ნაბიჯია საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ინსტიტუციონალური ცვლილებები. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსის პროექტი, რომელიც მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა. პროექტი მთელი რიგი დადებითი მიმართულებებით სასაიადება. კერძოდ, 15 საბაჟო რეჟიმიდან რჩება მხოლოდ 7, მნიშვნელოვანი სიახლეა ზოგადი, გამარტივებული და ელექტრონული საბაჟო დეკლარაციების ინსტიტუტის შემოღება.

განიხილება კანონპროექტი საგადასახადო, საბაჟო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის ერთ სტრუქტურად – შემოსავლების სამსახურად – გაერთიანების შესახებ, რომელიც ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულად დარჩება.

ლიბერალური საკანონმდებლო ბაზის შექმნამ, სისტემატიზებულმა ინსტიტუციონალურმა და სტრუქტურულმა რეფორმებმა განაპირობა საქართველოს ეკონომიკის ზრდა. 2005 წელს ქვეყნის მშპ-ს ზრდის მაჩვენებელმა 9,3% შეადგინა. მშპ-ს ძირითადად ფინანსური საშუაშელო სფეროს (52,2 პროცენტი ზრდა), კავშირგაბმულობის (29,5% ზრდა) და სამშენებლო (22,3% ზრდა) სექტორების განვითარების ხარჯზე გაიზარდა. ქვეყნის მშპ-მ 2005 წელს 11 591.9 მილიონი ლარი შეადგინა. მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მიმდინარე ფასებში, 2563.7 ლარი იყო.

ცხრილი 5 ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2001-2005					
	2001	2002	2003	2004	2005
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	4.8	5.5	11.1	6.2	9.3
ექსპორტი (ზრდა, %)	-1.5	8.8	34.5	39.4	34.0
იმპორტი (ზრდა, %)	6.0	5.6	43.8	61.9	34.8
ინფლაცია (%)	3.4	5.4	7.0	7.5	6.2
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ, აშშ დოლარი)	110.0	167.0	340.0	499.0	447.0
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	697.0	741.4	876.9	1139.1	1415.6

ცხრილი 6 საქართველოს საბაზრო ვაჭრობის განვითარებული მაჩვენებლები (მოქმედ ფასეზში; ათასი აშშ დოლარი)					
	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი	322 563	317 849	345 978	465 265	648 370
იმპორტი	709 127	751 969	793 808	1 141 202	1 847 702
ბრუნვა	1 031 690	1 069 818	1 139 786	1 606 467	2 496 072
სალდო	-386 565	-434 119	-447 831	-675 937	-1 199 332

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზო დეპარტამენტი; შ.პ.ს. „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“.

ცხრილი 7 საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (მოქმედ ფასეუბი; ათასი აშშ დოლარი)					
	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი – სულ	322563	317849	345978	465265	648370
მათ შორის:					
დსთ-ის ქვეყნები	128294	144269	168713	228645	329060
შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები	193472	181716	180213	250590	342690
ევროკავშირის ქვეყნები	76389	61852	63226	81636	111408
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები	165386	154091	155649	212448	272015
იმპორტი – სულ	709127	751969	793808	1141202	1847702
მათ შორის:					
დსთ-ის ქვეყნები	229461	253980	292478	370288	657819
შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები	347449	367088	388485	489748	854682
ევროკავშირის ქვეყნები	187552	239566	230072	430681	616369
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები	391317	419011	409551	647335	960259

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 2006 წლის პირველ ნახევარში 2 049,5 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. აქედან იმპორტმა 1 279.5 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტმა 470.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა მიმდინარე წლის ექვს თვეში მილიარდ დოლარს გადააჭარბა და 1109.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი 8						
	2001	2002	2003	2004	2005	2008-I
ბრუნვა, მლნ. ლარი	739,7	879,9	1080,3	1617,0	1789,7	519,2
გამოშვებული პროდუქცია მლნ. ლარი	715,5	833,0	959,6	1231,6	1359,4	358,5
დამატებული ღირებულება მლნ. ლარი	403,5	490,3	602,8	783,6
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	314,1	357,3	372,6	494,7
ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი	1181,7	1243,6	1341,7	1632,6
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	51424	52691	50669	60072	54724	53814
დასაქმებულთა ხელფასი, ლარი	151,1	168,6	198,6	220,3	...	341,9

ცხრილი 9			
	(მილიონი აშშ დოლარი)		
	2005 წლის იანვარ-ივლისი	2006 წლის იანვარ-ივლისი	ზრდის ტემპი %
ექსპორტი	372,7	470,0	26,1
იმპორტი	981,8	1 579,5	60,9
ბრუნვა	1 354,5	2 049,5	51,3
სალდო	-609,1	-1 109,5	82,2

სახეზეა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ზრდა. განსაკუთრებით მკვეთრადაა გაზრდილი სავაჭრო დეფიციტი, რაც გამოწვეულია იმპორტის, ექსპორტთან შედარებით, მაღალი ზრდის ტემპით. ექსპორტის ზრდაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ ჯერ ღვინოზე და შემდეგ მინერალურ წყლებზე. ამის გამო ექსპორტი რუსეთში, საქართველოს ძირითად საექსპორტო პარტნიორ ქვეყანაში, მკვეთრად შემცირდა. თუ ექსპორტი რუსეთში თებერვალში 13.5 მლნ აშშ დოლარს, ხოლო მარტში 18.7 მილიონს შეადგენდა, აპრილში ის 3.6 მილიონამდე, ხოლო ივნისში კი 3.2 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად 2006 წლის 1 ივლისიდან საქართველომ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) ნევრ-კორესპონდენტის სტატუსი დაიბრუნა და ყველა იმ პრიორიტეტით სარგებლობს, რომელიც ქვეყნებს ISO-ს ნევრ-კორესპონდენტის სტატუსით ენიჭებათ.

ISO-ში საქართველოს სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს.

1 ივლისიდან ქვეყანა უფლებამოსილია:

- განეკუთვნება დამკვირვებლის სტატუსით ISO-ს კომიტეტებში;
- შეუფერხებლად მიიღოს ყველა დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია ISO-ს საქმიანობასთან.

WTO-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი რეკომენდაციები საქართველოს მიმართ უკავშირდება ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობაში, ტექნიკური რეგულირების

სფეროს საერთაშორისო წესებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებს, რაც საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის თავისუფალი ბრუნვის ხელშეწყობის საფუძველს წარმოადგენს.

საგარეო ვალი

2004 წლის ბოლოს საქართველოს საგარეო ვალის საერთო მოცულობამ 1, 858 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 34.6% იყო. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შორის ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი (შესაბამისად 265.3 მლნ აშშ დოლარი და 677.6 აშშ დოლარი). საქართველოს საგარეო ვალის პირველი რესტრუქტურირზაცია ორმხრივ საფუძველზე 1996-1998 წლებში განხორციელდა. 2001 წელს საქართველომ საგარეო ვალის ტვირთის შემსუბუქების წინადადებით მიმართა პარიზის კლუბს. მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე 2001-2002 წლებში გადასახდელი ვალის ძირითადი თანხის კონსოლიდაცია და რესტრუქტურირზაცია მოხდა. 2003-2006 წლებში რესტრუქტურირზაციას დაექვემდებარა გადასახდელი ვალის ძირითადი ნაწილი. 2006 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ვალის ნაშთი შეადგენს 1, 755, 858 000 აშშ დოლარს. იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 1,734,885 000 აშშ დოლარს 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. პარიზის კლუბის შეთანხმებაში გათვალისწინებულია (საჭიროების შემთხვევაში) კონსოლიდაციის პერიოდის (2006 წლის ბოლოს) დასრულების შემდეგ ვალის დარჩენილი (2001-2006 წლების რესტრუქტურირზაციაში არმოხვედრილი) ნაწილის რესტრუქტურირზებაც ე.წ. “ევანიის მიდგომის” ფარგლებში. საგარეო

ვალის მოცულობა ერთი წლის განმავლობაში აშშ დოლარებში შემცირებულია 5,3 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში, ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის 1,8 პროცენტით გამყარებას განაპირობა ლარებში საგარეო ვალის 7,0 პროცენტით შემცირება.

8.2. საზოგადოებრივი საქმის აქტივობის ინტენსივობა განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბების მიმართულებით

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) – 1

- საზოგადოებრივი სექტორი ჩართულია აგმ-ს მიღწევისთვის განხორციელებულ საქმიანობაში და ხშირ შემთხვევაში, გვევლინება, როგორც ამ საქმის ინიციატორი. ასევე სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ამ მხრივ თანამშრომლობის განვითარებაში. მოქმედებს კოალიციური ტიპის მოძრაობა “მომავალი სიღარიბის გარეშე”, რომელშიც ჩართულია 60-მდე საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

საქართველოს საზოგადოებრივი სექტორი თავისი საქმიანობით ჩართულია აგმ-ის განხორციელებაში. შეიძლება ითქვას, რომ პროექტები, დაფინანსებული უცხოური თუ ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხელს უწყობენ განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ამასთანავე საზოგადოებრივი სექტორი დაინტერესებულია და მზად არის ჩაერთოს სხვადასხვა გლობალური პროგრამების განხორციელებაში. მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება ფართო ცნებაა და მოიცავს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში. მაგალითისთვის შეგიძლია მოვიყვანოთ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (საეა) მიერ განხორციელებული პროექტი – “საგადასახადო კოდექსის დანერგვა”. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დამუშავდა და ადაპტირებულ იქნა საგადასახადო კოდექსი, რომელიც გამოიცა გზამკვლევის სახით. ამ პროექტმა ზოგადად ხელი შეუწყო მენარმეთა და საჯარო მოხელე-

თა ცნობიერების ამაღლების გზით საგადასახადო კოდექსის დანერგვას და ამასთანავე საქართველოს ბიზნეს-სექტორის ჰარმონიზაციას მსოფლიო საგადასახადო სივრცესთან. ეს და სხვა პროექტები გამიზნულია საქართველოს ინტეგრაციაზე მსოფლიო გლობალურ სივრცეში.

საზოგადოებრივი სექტორი საკმაოდ აქტიურად არის ჩამოყალიბებული მსოფლიო მოძრაობებში. საქართველოში 2015 წლამდე შესასრულებელი მიზნები, როგორც მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობი ფაქტორები, ხშირად სცილდება საზოგადოებრივი სექტორის კომპეტენციის ფარგლებს. შესაბამისად, საზოგადოებრივი სექტორის ძალუძს მხოლოდ დააფიქსიროს თავისი პოზიცია ცალკეული პრობლემის მოგვარების, მხარდაჭერისა და მოთხოვნების შესრულების კუთხით.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულია ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ხელთ არსებული ინფორმაცია.

საექსპერტო შეფასებაში მონაწილეობდნენ:

- დათო ნარმანია, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;
- გიორგი ლაფერაშვილი, “ოქსფამი”;
- ანა ქათამიძე, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;
- ქეთი ჭითანავა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ეკონომიკური განათლების პროგრამის კოორდინატორი;
- თემურ მიმინოშვილი, საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი.



ათასწლეულის განვითარების მიზნების ანგარიში საქართველო 2006

ანგარიში მომზადებულია საქართველოს გაეროს
ასოციაციისა და შვედეთის გაეროს ასოციაციის
ერთობლივი პროექტის ფარგლებში

ანგარიში გამოცემულია საქართველოს არასამთავრობო
ორგანიზაციათა ერთობლივი ძალისხმევით